ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 19 ივლისი, 2011 №169 (5550 ) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+
ვაჟა-ფშაველა
8 ლარი
11 ივლისიდან
25 ივლისამდე




# რა აღიარა გიორგი აბდალაძემ



გვ.3

## ევროკავშირი 26 მაისზე სააკაშვილს პასუხს სთხოვს

გვ.3

აბდალა ე დეტალებზე სასამართლო პროცესზე ილაპარაკებს





გვ.5

## არნოლდ სტეპანიანი ჯავახეთის ავტონომიას ითხოვდა

რა პროვოკაციული ბროშურა გამოსცა „მრავალეროვანმა საქართველომ“

## არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა გაიზარდა

გვ.6

რას გვიჩვენებს სტატისტიკის ანალიზი

## ქართულ დემოკრატიას თავი კიევშიც მოეჭრა

საქართველოს საელჩოს თანამშრომელმა უკრაინელ ჟურნალისტებს სცემა

გვ.4





გვ.10

## გუბაზ სანიკიძე: „არიან მღვდლები, რომლებსაც მრევლის აღსარება ვანო მერაბიშვილთან მიაქვთ“

გვ.4

## პარლამენტში ახალი ფრაქცია შეიქმნა



3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება დაეკისრა

7 მგზავრობა 60%-ით გაძვირდა

2 ჟურნალისტებისთვის ბოდიში მოსახდელი ბრიგოლ ვაშაძეს აქეთ ექნება

5 №100 სამარშრუტო ხაზით მგზავრობა 80 თეთრამდე გაძვირდა

# რა აღიარა გიორგი აბდალაძემ

შორენა კოწოწაშვილი



**შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ ჯაშუშობაში ბრალდებულ გიორგი აბდალაძის აღიარებითი ჩვენების ვიდეოჩანაწერი გაავრცელა. ამ ნაბიჯზე ხელისუფლება ალბათ იმიტომ წავიდა, რომ ფოტორეპორტიორების საქმისადმი დიდი ინტერესი არსებობს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.**

ქართველ ფოტოკორესპონდენტებს სოლიდარობას უცხადებენ უცხოური მედიასაშუალებები და აინტერესებთ, რამდენად ობიექტურად წარიმართება გამოძიება და სასამართლო პროცესი.

შს სამინისტრო აღიარებითი ჩვენების გავრცელებით შეეცადა იმ ბრალდების უტყუარობაში საზოგადოების დარწმუნებას, რომელიც ფოტორეპორტიორებს აქვთ წარდგენილი და რომელიც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის საიდუმლო ინფორმაციის მიწოდებას ეხება.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა ფოტოკორესპონდენტები — ზურაბ ქურციკიძე, ირაკლი გედენიძე და გიორგი აბდალაძე — რამდენიმე დღის წინ დააკავა და ჩვეული ოპერატიულობით საზოგადოებას მათი აღიარებითი ჩვენებაც მოასმენინა.

ყველაზე დიდხანს აღიარებითი ჩვენების მიცემისგან გიორგი აბდალაძე იკავებდა თავს, თუმცა მერაბიშვილის უწყებამ გუშინ აბდალაძის აღიარებითი ჩვენებაც გაავრცელა.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაკავებული ფოტორეპორტიორებიდან ერთ-ერთის გიორგი აბდალაძის დაკითხვის ვიდეოჩანაწერი გამოაქვეყნა. როგორც გიორგი აბდალაძე ჰყვება, მან რუსეთის სპეცსამსაურებთან მუშაობა, 2002 წელს დაიწყო, როდესაც ის ერგნეთის ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა დააკავეს.

„2002 წელს მე ვმუშაობდი გაზეთ „კვირის პალიტრაში" ფოტორეპორტიორად. ხშირად მიწევდა მივლინებებში გასვლა. ერთ-ერთი მივლინება იყო ერგნეთის ტერიტორიაზე. მე უნდა გამეკეთებინა სიუჟეტი ერგნეთის ბაზრიდან კონტრაბანდის გადმოსვლასთან დაკავშირებით. შესვლისას მე და მძღოლი ვიმყოფებოდით, რომელსაც საკუთარი მანქანა ჰყავდა. ერგნეთის ტერიტორიაზე შესვლისას სამხრეთ ოსეთი წარმომადგენლებმა დაგვაკავეს. იმ პერიოდში ეს ტერიტორია ნეიტრალურად ითვლებოდა. გვცემეს. გაგვჩხრიკეს, რის შემდეგაც მიპოვეს პრეზიდენტის აკრედიტაცია და მიპოვეს დოქტოფონი, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მქონდა ჩართული. ამის აღმოჩენის შემდეგ გაღიზიანდნენ. შემდეგ მომიტანეს დოკუმენტი, რომელზეც ხელი უნდა მომეწერა და მითხრეს, რომ ეს არისო შენი დაკითხვის დოკუმენტიო და სადაც შენ აღიარებ ჯაშუშობაში ფაქტს და აპირებდი დივერსიული ფაქტების განხორციელებას ცხინვალის ტერიტორიაზე. მე თავიდან უარი ვთქვი, მერე ისევ ცემა იყო და მოვაწერე ხელი. შემდგომში ასეთი ძალადობის ფაქტებმა იკლო. შემდეგ გადამიყვანეს ციხეზე. გამთენიისას გამიყვანესდა შემახვედრეს ორი რუს სამხედრო პირს, რომლებმაც თავაზიანად მიმიღეს. დამიწყეს საუბარი. დაინტერესდნენ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობით. მაგათმა მითხრეს, რომ თქვენ გაქვთ მძიმე ბრალდება წაყენებულიო, რომელიც ითვალისწინებს 9 წლიან მუხლსო. მათ დამიდეს მაგიდაზე ჩემი ძმებისა და დედაჩემის ფოტოები და მითხრეს რომ, თუ ვიტყოდი თანამშრომლობაზე ურას მოხდებოდა ჩემი ოჯახის ლიკვიდაცია და, რა თქმა უნდა, ჩემიც, რადგან მათ ტერიტორიაზე ვიმყოფებოდი. თუ ვითანამშრომლებდი მაგათთან, გარკვეულ ანაზღაურებასაც გადმომცემდნენ. ვკითხე რა არჩევანი მაქვსო და მითხრეს რომ ან ის უნდა აირჩიო ან ესო. გადმომცეს ბლანკი, რომელზეც იყო დაწერილი ამ ხელშეკრულების შინაარსი. მე სიმართლე გითხრათ, არ გადამივლია თვალი რა მოვალეობები შედიოდა და რა არა. გამოყვანისას კიდე ერთ შენობაში წამიყვანეს, სადაც შეგხვდა მაგათი მაშინდელი უშიშროების მინისტრი", — ამბობს ჩვენებაში აბდალაძე.

მისი თქმით, ერთი წლის შემდეგ როდესაც სხვა რედაქციაში, გამომცემლობა „სამშობლოში" მუშაობდა, რედაქციიდან გამოსვლისას რუსთაველის მეტროსთან შემხდა ერთი პიროვნება, რომელმაც შეახსენა ცხინვალის ხელშეკრულება.

„მან მითხრა, რომ პეროვის ქუჩაძე არის გიორგაძის პარტიის ერთ-ერთი ოფისი, იქ უნდა მივსულიყავი და იქ მეტყოდნენ პირველ დავალებას. მისვლისას აღმოვაჩინე, რომ დროშები იყო გამოფენილი მაგათი პარტიის. შემხვდა მაღალი მამაკაცი, რომელმაც შემიპატიჟა. მითხრა, ჩვენ ვიცითო თქვენ შესახებო, გაგვაფრთხილესო... ჩვენ გვჭირდება თქვენთან თანამშრომლობა, რადგან მიტინგებს ვაწყობთ, თქვენ უნდა გადაგვიღოთ ეს ფოტომასალა თუ სად ტარდება ეს მიტინგები. ძირითადად აინტერესებდა ზედა ხედი რათა გამოჩენილიყო მასა. თუმცა აინტერესებდათ პორტრეტებიც და სხვა სახის ფოტოებიც, რაც მიტინგთან იყო დაკავშირებული. მე ამ ფოტოებს ვაწვდიდი. იქვე ხდებოდა ამ ფოთოების ჩატვირთვა კომპიუტერში, მაგრამ მე როგორც ვიცი, ისინი ამ ფოტოებს ძირითადად გაზეთებისთვის იყენებდნენ. იყენებდნენ ვებ.საიტებისთვის და რუსეთში იგორ გიროგაძის ოფისისთვის წარსადგენად. ანგარიშსწორება ხდებოდა ხელზე. იქვე მომიტინგეებისგან გამოყოფილი იყვნენ ქალბატონები და კეშად უხდიდა ადამიანებს თანხას. ასე ხდებოდა ჩემთანაც ანგარიშსწორება. ეს გრძელდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში", — განაცხადა აბდალაძემ.

აბდალაძის თქმით, მან 2007 წელს პარლამენტში დაიწყო მუშაობა და სწორედ ამ პერიოდში მოხდა ზურაბ ქურციკიძესთან თანამშრომლობის დაწყება.

„2007 წელს დავიწყე მუშაობა პარლამენტის პრესცენტრში, ფოტორეპორტიორად. მევალებოდა ჩამოსული სტუმრების ფოტოგადაღება. ამ პერიოდისთვის ვიცნობდი ზურაბ ქურციკიძეს. მან არაერთგვაროვნად შემახსენა, რომ მუშაობდა რუსეთის ერთ-ერთ სააგენტოზე. როგორც მაგან მითხრა. ის ფოტოები რომლებიც მჭირდება თქვენგან, მჭირდება იმიტომ რომ ისინი მოსკოვში გადავაგზავნოვო. შემახსენა სიტყვიერად ცხინვალის ამბავი, რომ თქვენ თუ გახსოვთ ცხინვალის ამბებთან დაკავშირებით, მეც ვიმყოფები ამ სამსახურში და ერთ-ერთი პირველი რამოდენიმე შეხვედრის ფოტოები, ერთ-ერთი იყოოფიციალური შეხვედრის მსგავსი შეხვედრის ფოტოები მიმეწოდებინა მისთვის. გარკვეული დროის შემდეგ ქურციკიძემ მთხოვა, რომ სტენოგრამაც გამეკეთებინა, რადგან ეს სჭირდებოდათ მოსკოვში წარსადგენად. მე შეუსრულე ეს თხოვნა და მითხრა რომ ანგარიშსწორებოდა მოხდებოდა ხელზე. დავალების სირთულის მიხედვით ანაზღაურება 150-დან 200-მდე ხდებოდა", — ამბობს აბდალაძე.

მისი თქმით, მათი თანამშრომლობა 2008 წლის აგვისტოშიც გარგძელდა და მას ძირითად საქართველოს ჯარის უკან დახევის ფოტოების გადაღება ევალებოდა.

„შემდგომში პარლამენტში რომ დავანებე მუშაობას თავი. 2008 წელს 8 რიცხვში, ქურციკიძე იმყოფებოდა გორში და მთხოვდა დავხმარებოდი. მე ჩავედი გორში ჩემი მანქანით. ქურციკიძემ მთხოვა რომ რასაც გადაიღებ მასალებს მომაწოდე რადგან ეს მოსკოვში წარსადგენად სჭირდებოდა. ჩვენ ვიღებდით როგორ იხევდა ჩვენი ჯარი სოფლებიდან, მოსახლების განწობას. გარკვეული ჩანაწერებიც ხდებოდა ამისი, ქურციკიძე ურეკავდა ერთ-ერთ პიროვნებას, რომელიც ეუბნეოდა ამ ამბებთან დაკავშირებით ამბებს ყვებოდა. მე წამოვედი თბილისში. მას შემდეგ ქურციკიძე არ შემხვედრია. ის მასალა დავუტოვე მას", — განაცხადა აბდალაძემ.

აბდალაძის თქმით, საგარეო უწყებაში მუშაობის დაწყების შემდეგ ქურციკიძემ მას სთხოვა, რომ არამარტო ფოტოები, არამედ სტენოგრამებიც გაეკეთებინა მინისტრის შეხვედრების. დაახლოებით 2010-ში დავიწყე მუშაობა საგარეო საქმეთა სამინისტროში. ამ პერიოდში მე ქურციკიძესთან მქონდა კონტაქტი. მე ვაწვდიდი ფოტომასალებს. იგივე მევალებოდა, როგორც პარლამენტში, რომ გადამეღო საგარეო საქმეთა მინისტრიეს სტუმრებთან შეხვედრები და რაღაც პერიოდულობით ვაწვდიდი ფოტოებს. ბოლო თხოვნა მისი იყო, რომ საგარეო საქმეთა მინისტრიეს არა მარტო ფოტო, არამედ სტენოგრამაც გამეკეთებინა. ანუ უნდა გადამეღო საგარეო საქმეთა მინისტრი არამარტო საგარეო საქმეთა სამინისტროში, არამედ კანცელარიაშიც და პრეზიდენტის სასახლეშიც. რაც მე შევუსრულე, ჩავუწერე. მე ეს გავაკეთე ორ ეგზემპლარად. ერთი მივეცი ქურციკიძეს, ერთი დავიტოვე ჩემთვის. ქურციკიძემ მთხოვა, რომ იმ შემთხვევაში თუ მასთან დისკი არ გაიხსნებოდა მეორე ეგზემპლარი მიმეწოდებინა მისთვის. თუ არადა გამენადგურებინა. მაგ პერიოდში უკვე დაგვაკავეს და თანხა არ აგვიღია. სტენოგრამები ძირითადად ამოვიღე საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ოთახიდან, რომელიც მდებარეობდა მეოთხე სართულზე", — განაცხადა აბალაძემ.

მისი თქმით, ანგარიშსწორება ხდებოდა ძირითადად ხელზე. „ბლანკი ჰქონდა ქურციკიძეს, სადაც ვწერდი რომ მომსახურებაზე მივიღე 150 ევრო ან 200 ევრო. ასე ხდებოდა ძირითადად", — განმარტავს ფოტორეპორტიორი.

## ჟურნალისტებისთვის ბოდიში მოსახდელი გრიგოლ ვაშაძეს აქეთ ექნება

დაკავებულ ფოტორეპორტიორთა სოლიდარობის აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორ დიმიტრი ტიკარაძეს განცხადებით, ფოტოგრაფების საქმესთან დაკავშირებით ჟურნალისტებისთვის ბოდიში მოსახდელი გრიგოლ ვაშაძეს აქეთ ექნება.

როგორც ტიკარაძემ გუშინ გლდანის №8 სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან გამართულ აქციაზე განაცხადა, სოლიდარობის აქციებზე ჟურნალისტები ისეთს არაფერს ითხოვენ, რის გამოც შესაძლოა ბოდიშის მოხდა მოუწიოთ.

— ვაშაძეს აქეთ ექნება ბოდიში მოსახდელი, როდესაც ყველაფერი გაირკვევა. ჩვენ მხოლოდ საქმის გასაჯაროებას და ფოტორეპორტიორების თავდებით გათავისუფლებას ვითხოვთ. ამისთვის კი ბოდიშის მოხდას არ ვაპირებთ, — განაცხადა ტიკარაძემ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა გრიგოლ ვაშაძე ჟურნალისტების მიერ ორგანიზებულ სოლიდარობის აქციებს გამოეხმაურა.

— ძალიან უკმაყოფილო ვარ ე.წ. ზოგიერთი ჩვენი მასმედიის, პრესის რეაქციას, რადგან იძლევიან სრულიად უსაფუძვლო კითხვებს, მაგალითად, ჰქონდათ თუ არა მათ ინფორმაციასთან დაშვება, თითქოს, ჯაშუში მხოლოდ იქ მოქმედებდეს, სადაც დაშვება აქვს. საინტერესოა მოუხდიან თუ არა ჟურნალისტები ბოდიშს სამართალდამცველებს, როცა სასამართლოში გამოაშკარავდება ყველა ის მტკიცებულება, რომელიც საქმეში არსებობს,— განაცხადა ვაშაძემ.

**მედიანიუსი**

## მაია მიმინოშვილი მედიაცენტრში ბრიფინგს გამართავს

დღეს გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი გამოცდების მიმდინარეობისა და შედეგების გამოცხადების გრაფიკის შესახებ გამოცდების მედიაცენტრში ბრიფინგს გამართავს.

უცხოური ენების ჯუფის ხელმძღვანელი, ივა მინდაძე კი პედაგოგებს უცხოური ენის სასერტიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებით ინფორმაციას გააცნობს.

სასერტიფიკაციო გამოცდა უცხოურ ენაში 5 ნაწილისაგან შედგება.

გამოცდა, გარდა წერითი, წაკითხულის გააზრებისა და მეთოდიკის ნაწილებისა, მოსმენისა და მეტყველების ნაწილებსაც მოიცავს.

19 ივლისს მეოთხე საგამოცდო კვირა მათემატიკაში პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდით გაგრძელდება.

გამოცდა 09:00 საათზე, გამოცდისათვის რეგისტრაცია 08:00 საათზე დაიწყება.

საგამოცდო დღის მეორე სესია აბიტურიენტთათვის გეოგრაფიის გამოცდით გაგრძელდება რეგისტრაციის პროცესი 14:00 საათზე, გამოცდა კი 15:00 საათზე დაიწყება.

გამოცდების ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობს აბიტურიენტების, პედაგოგებისა და მაგისტრობის კანდიდატების ნაშრომების გასწორების პროცესი. საგამოცდო ნაშრომები ელექტრონულად სწორდება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადება მიმდინარე კვირის ბოლოს ზოგადი უნარების გამოცდის შედეგებით დაიწყება.

შედეგები გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდება. აბიტურიენტები სპეციალური საძიებო სისტემის მეშვეობით შეძლებენ საკუთარი ნაშრომისა და შეფასების ნახვას.

**მედიანიუსი**

## „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება დაეკისრა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს სარჩელი მოპასუხეების ლევან ლევანიძის, შალვა ხუციშვილის, ლაშა აბრამიშვილისა და ლევან აბრამიშვილის მიმართ. მოპასუხეებს დაეკისრათ მოსარჩელე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება 29 096.49 აშშ დოლარისა და 1104.01 ლარის ოდენობით.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 16 მარტის განაჩენით დასტურდება, რომ მოპასუხეებმა ჩაიდინეს თაღლითობა, კერძოდ დაეუფლნენ ს.ს „ვითიბი ბანკი"-ს კუთვნილ თანხას. დანაშაულებრივი ჯგუფის საერთო განზრახვას წარმოადგენდა ყალბი ოქროს ნივთების დამზადება და შემდგომ ს.ს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ს სხვადასხვა ფილიალებსა და სერვის-ცენტრების განყოფილებებში ჩაბარებისა და სესხის აღების გზით დიდი ოდენობით ფულადი თანხების დაუფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ჩათვალა, რომ მოპასუხეების ქმედების შედეგად სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასათვის" ზიანის მიყენების ფაქტი დადგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. მიყენებული ზიანის ოდენობის დასასაბუთებლად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იყო ზიანის გაანგარიშება. მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხეების მიერ ს.ს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-სათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც გახდა სასამართლო გადაწყვეტილების დაკმაყოფილების საფუძველი.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახური**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ევროკავშირი 26 მაისზე სააკაშვილს პასუხს სთხოვს

შორენა კოწოწაშვილი

## აბდალაძე დეტალებზე სასამართლო პროცესზე ილაპარაკებს

**სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ხელმძღვანელმა ეკა ბესელიამ 26 მაისს რუსთაველზე მიმდინარე საპროტესტო აქციის დარბევისა და დაკავებულთა შესახებ წერილობითი ინფორმაცია მიაწოდა ევროკომისიის პრეზიდენტ ხოსე მანუელ ბაროზოს.**



უფლებადამცველი ევროკომისიის პრეზიდენტს დეტალურად ატყობინებდა იმ უკანონობისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ, რასაც სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ჰქონდა ადგილი მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ.

ეკა ბესელიამ ბაროზოსგან ოფიციალურად მიიღო პასუხი, სადაც დაფიქსირებულია ევროკომისიის პრეზიდენტის პოზიცია იმ სისასტიკესთან, რაც 25 მაისსს საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიდინა.

— ევროკავშირი ამჩნევს საქართველოს შიდა პოლიტიკაში დაძაბულობის ზრდას და ყურადღებით აკვირდება განვითარებულ მოვლენებს. ევროკავშირმა მიმართა საქართველოს ხელისუფლებას 25, 26 მაისის დღეებთან დაკავშირებით გამჭვირვალე გამოძიების ჩატარებისკენ, იყო თუ არა ძალის გადამეტების ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. სამართალდამცავების მხრიდან ძალის გამოყენება უნდა იყოს აუცილებლად პროპორციული, — ნათქვამია ხოსე მანუელ ბაროზოს განცხადებაში.

ეკა ბესელიას თქმით, ევროკავშირი მოუწოდებს ყველა პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომ აქტიურად იყვნენ ჩართული კონსტიტუციური და მთავარი საკითხების განხილვის პროცესში. ბაროზოს განცხადებით, მხოლოდ ამის შემდგომ და ძალადობის უარყოფის შემდეგ საქართველოს შეუძლია გახდეს დემოკრატიის მაგალითი რეგიონში.

— მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების ერთსულოვანი მოწოდებისა და მოთხოვნისა, რომ ჩატარებულიყო ობიექტური გამოძიება 26 მაისთან დაკავშირებით, 15 ივლისს შს სამინისტრომ განაცხადა, რომ დაასრულა მოკვლევა 2011 წლის 26 მაისთან დაკავშირებით და რუსთაველის გამზირზე აქციის დაშლაში მონაწილე 16 პოლიციელი დასაჯა დისციპლინური წესით. მათ მიმართ გამოყენებული იყო სხვადასხვა დისციპლინური ღონისძიება, მათ შორის 4-ის მიმართ — თანამდებობიდან გათავისუფლება, — განაცხადა ეკა ბესელიამ, რომელიც მიიჩნევს, რომ „ეს გადაწყვეტილება არის სრულიად შეუსაბამო და არაადეკვატური იმ მოქმედებებისა და დამდგარი შედეგისა, რომელიც განხორციელდა პოლიციელთა და სპეცრაზმელთა მიერ ჩადენილი უკანონო ძალადობრივი ქმედებების გამო. გარდაცვლილია რამდენიმე ადამიანი. სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღო ათეულობით ადამიანმა, ერთმა, ბესიკ ტაბატაძემ, მხედველობა დაკარგა".

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ამ საქმეზე მუშაობს კონკრეტული მოთხოვნებით და შესაბამის პროცედურებს გადის.

— ჩვენი, უფლებადამცველების მოთხოვნაა, გამოქვეყნდეს იმ პირთა ვინაობა, მათი სამსახურებრივი სტატუსი, ვის მიმართაც იყო გამოყენებული დისციპლინური ღონისძიება. ასევე მიეთითოს, რომელი დარღვევა იყო მიჩნეული გადაცდომად შს სამინისტროს მიერ; მეორე — საზოგადოებასა და უფლებადამცველებს უნდა მიეწოდოთ საჯარო ინფორმაცია, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება სისხლის სამართლის წესით; არის თუ არა სს პასუხისგებაში მიცემული ვინმე, ვინც მონაწილეობდა სპეცოპერაციის დროს აქციის დაშლაში და დასახელდეს, თუკი ასეთი პირები არიან სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემული; მესამე — ჩატარდეს ობიექტური გამოძიება 26 მაისს განხორციელებული ძალადობის ყველა კონკრეტულ აქტზე. ეს არის ის მოთხოვნა, რომელსაც ვაყენებთ ჩვენ, ქართველი უფლებადამცველები და ეს არის ის მოთხოვნა, რომელსაც აყენებს საერთაშორისო საზოგადოება, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, იმ წერილის ანალოგიური, რომელიც მოძრაობამ ბაროზოსგან მიიღო, გაეგზავნა აგრეთვე საქართველოს ხელისუფლებას. ამიერიდან ხელისუფლებამ იცის ევროკომიის პრეზიდენტის პოზიცია, რომ 26 მაისთან დაკავშირებით ევროკომისია ობიექტურ გამოძიებას ელოდება.

ეკა ბესელიას თქმით, როგორც კი საჯარო გახდება დისციპლინური წესით დასჯილი პოლიციელების ვინაობა, მაშინვე დადგება მოთხოვნა, რომ ეს არ არის საკმარისი და ადეკვატური სასჯელი და რომ ამ უმძიმესი დანაშაულისთვის ხელისუფლებამ ადეკვატური პასუხისმგებლობა უნდა დააკისროს კონკრეტულ პირებს.

ბესელიას თქმით, ამ მოთხოვნას უფლებადამცველები გადააგზავნიან ევროკომისიის პრეზიდენტთან და იმ მოთხოვნებს, რომლებიც ქართველ უფლებადამცველებს აქვთ ხელისუფლების მიმართ 26 მაისთან დაკავშირებით.

პრესკონფერენციის შემდეგ ეკა ბესელიამ დაპატიმრებულ ფოტორეპორტიორებთან დაკავშირებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 15 საათსა და 30 წუთზე ის კვლავ შედის გლდანის ციხეში გიორგი აბდალაძის მოსანახულებლად.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ბესელია აბდალაძის საქმეზე მონიტორინგს ახორციელებს და ის არის ერთადერთი იურისტი, რომელმაც აბდალაძის დაკითხვის ოქმზე პროტესტი დააფიქსირა.

— მე, პირადად, აბდალაძის საქმეზე მონიტორინგს ვაგრძელებ და დღეს მისი თხოვნით შედგება შეხვედრა მე-8 საპყრობილეში. პირადად აბდალაძემ მთხოვა შეხვედრა და ამიტომ შევდივარ. მე გავაგრძელებ მონიტორინგს, რა ხდება იმ დაკითხვის შემდეგ, — განაცხადა ეკა ბესელიამ. მისი თქმით, დღეს უკვე ჩაბარდა მისი წერილობითი მიმართვა საქმეზე ზედამხედველ პროკურორს.

— მე მაქვს 4 მოთხოვნა, რომელიც გამოძიებას დღეს გადავეცი. პირველი: საქმის მასალები გადაეცეს დაცვის მხარეს და მეც ვითხოვ ამ მასალების გადმოცემას, ხოლო სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გაცნობას. ვითხოვ, რომ გადმოგვეცეს დაკითხვის ოქმი და ის ვიდეომასალა, რომელიც ჩაწერილია მთელი დაკითხვის მიმდინარეობის დროს. ვიდრე არ გადმოგვეცემა ეს მასალა, იქამდე არ გამოქვეყნდეს საჯაროდ. კიდევ ერთი: გამოძიებამ დამიდასტურა, რომ „გრიფით საიდუმლო" მთელ საქმეს არ ადევს. მხოლოდ ნაწილობრივ დოკუმენტებს ადევს. მე ვითხოვ, რომ ოფიციალურად საჯარო დოკუმენტში ჩაიწეროს, რომ „გრიფით საიდუმლო" მთელი საქმისთვის არ არის მინიჭებული. აგრეთვე ვითხოვ, რომ საქმის მასალები ასევე გადაეცეთ თავად დაკავებულ, ბრალდებულ პირებს, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

რაც შეეხება იმას, რამდენად იცნობენ თავად ჯაშუშობაში ბრალდებული ფოტორეპორტიორების ადვოკატები საქმის მასალებს, როგორც ბესელია მიუთითებს, მათ აქვთ წაკითხული, გადაცემული საქმის ასლები, მათ შორის, ისეთი დოკუმენტები, რომლებიც არანაირ საიდუმლოებას არ შეიცავს.

ის ფაქტი, რომ ადვოკატებს დღემდე ფოტორეპორტიორების გახმაურებული საქმის მასალები დღემდე არ გადასცემიათ, კანონდარღვევაა ანუ ამ მხრივ ვადები უკვე დაირღვა.

— მაგალითად, ადვოკატებს არა აქვთ ბრალის დადგენილება, არც ჩხრეკის ოქმი. ამიტომ ეს წერილობით მოთხოვნა დღეს ჩავაბარე პროკურორს. მეც მაქვს უფლება, ეს მასალები მივიღო და ამიტომ ვითხოვ მათ გადმოცემას, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

რაც შეეხება აბდალაძის მიერ გამოძიებისთვის მიცემულ აღიარებით ჩვენებას, როგორც ბესელია მიუთითებს, აღიარებითი ჩვენება არ არის უტყუარი მტკიცებულება. აღიარებითი ჩვენება შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს ბრალდებულმა. აღიარებითი ჩვენების დროს შეიძლება ზღაპარი მოყვეს ბრალდებულმა, რაიმე დაიბრალოს, იმიტომ რომ ის არ ფრთხილდება ცრუ ჩვენებისთვის პასუხისმგებლობის თაობაზე, ანუ საჭიროა, ამ საქმეზე სხვა მტკიცებულებები არსებობდეს იმისათვის, რომ გამამტყუნებელი განაჩენი დადგეს.

— აღიარებითი ჩვენება აბდალაძეს შეუძლია შეცვალოს. აღიარებითი ჩვენების ოქმზე არის ჩემი წერილობითი ხელმოწერა, რომ მე მას არ დავეთანხმე იმ დაკითხვის შინაარსს. ახლა მთავარია შემდეგი ნაბიჯი ანუ გამოძიება და პროკურატურა გააფორმებს თუ არა დაკავებულ ფოტორეპორტიორებთან საპროცესო შეთანხმებას, ანუ თუ დათანხმდებიან დაპატიმრებული პირები საპროცესო შეთანხმების პირობებს, ასეთ შემთხვევაში არანაირი სასამართლო განხილვა არ შედგება, ანუ გამამტყუნებელი განაჩენი გამოვა საქმის არსებითი განხილვის გარეშე. ეს არის დღეს გამოძიებისთვის მთავარი ამოცანა. გამოძიებას უნდა, სწორედ ამ შედეგს მიაღწიოს. მიმაჩნია, რომ ახლა მთელი ყურადღება სწორედ აქეთკენ არის გადატანილი, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

რაც შეეხება იმას, უკვე შესთავაზა თუ არა სამივე დაკავებულ ფოტორეპორტიორს საპროცესო შეთანხმება პროკურატურამ, როგორც ბესელია განმარტავს, საპროცესო შეთანხმებაზე შეთავაზება უკვე მიღებული აქვთ, მიღებული აქვს გიორგი აბდალაძეს, მაგრამ ის, თუ რა პოზიცია აქვს საპროცესო შეთანხმებასთან თავად გიორგი აბდალაძეს, როგორც ბესელიამ მიუთითა, ამას ის თავად აბდალაძესთან შეხვედრის დროს გაარკვევს, რამდენად არის ის ამისთვის მზად.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა გარემოება, რომელიც ამ საქმეს უკავშირდება, საზოგადოებისთვის იყოს ცნობილი, — აღნიშნა ბესელიამ და იმედი გამოთქვა, რომ მაქსიმუმ სამ დღეში ექნება პასუხი იმ 5 მოთხოვნაზე, რომლებიც მან პროკურატურას წარუდგინა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბესელია ითხოვდა, არ მომხდარიყო აბდალაძის აღიარებითი ჩვენების ტელევიზიით გავრცელება, სანამ მისი სრული ჩანაწერი ადვოკატებს არ გადაეცემოდათ. ამის მიუხედავად, გუშინ, 14 საათისთვის, შს სამინისტრომ აბდალაძის აღიარებითი ჩვენება გაავრცელა.

**ეკა ბესელიას** რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***— ქალბატონო ეკა, რა ტენდენცია იკვეთება ფოტორეპორტიორების საქმის გამოძიების პროცესში, სადაც გამოძიებამ აღიარებითი ჩვენებები უკვე მოიპოვა?***

— უკვე გამოიკვეთა, რომ ძალიან დიდი ინტერესის ფონზე, რომელიც ჰქონდა საერთაშორისო საზოგადოებას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო აღიარებითი ჩვენებების მიღება. იმდენად დიდი ინტერესი იყო გამოძიების მხრიდან ამ ჩვენებების მიღებაზე, რომ ალბათ ამისთვის ყველაფერს გააკეთებდნენ. ფაქტია, რომ გამოყენებულია ყველა ფორმა და მეთოდი იმისათვის, რომ ეს ჩვენებები ყოფილიყო მიღებული. დაკითხვის პერიოდში იქ, ადგილზე, ზეწოლა ნამდვილად არ ხდებოდა. მე თავად ვესწრებოდი აბდალაძის დაკითხვის პროცესს. გამოძიებას მანამდე შეეძლო, აბდალაძეზე ზემოქმედება მოეხდინა და, შეიძლება ითქვას, რომ აბდალაძე სასურველი ჩვენების მისაცემად გამზადებული მოიყვანეს. ამ საქმეზე მონიტორინგს გავაგრძელებ.

***— კითხვის ნიშნები გაგიჩინათ აბდალაძის აღიარებითმა ჩვენებამ?***

— კი. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ის ჩვენება მისი ნებით მიცემული არ არის. დაკითხვის ოქმში შენიშვნაც გავაკეთე, იმიტომ რომ დაკითხვამდე ერთი დღით ადრე მითხრა, რომ ბრალის აღიარებას არ აპირებდა და, სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდა, ის ამას არ გააკეთებდა. იგივე გამიმეორა დაკითხვამდე 10 წუთით ადრე, მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან ჩქარობდა. შემდეგ მოვითხოვე პროკურორისა და გამომძიებლის გარეშე აბდალაძესთან შეხვედრა და იქაც არ თქვა, რომ აღიარებითი ჩვენების მიცემას აპირებდა. მომეჩვენა, რომ აბდალაძე განსხვავებული, სრულიად არაადეკვატური იყო და ჩქარობდა, რომ ეს ჩვენება მიეცა. იმდენად ჩქარობდა, რომ ბოლოს მისი ადვოკატების კითხვებს აღარ უპასუხა, თქვა, რომ თავი სტკივა, შეუძლოდ არის და არ უნდა, რომ კითხვებს პასუხი გასცეს და უნდოდა, რომ სწრაფად დასრულებულიყო ეს დაკითხვა. მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო განხორციელებული.

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ აბდალაძემ თქვენთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.***

— ეს იყო ტყუილი. ეს იყო პირველი მცდელობა, რომ ჩემთვის წინააღმდეგობა შეექმნათ. თუ ამას ვერ გადავლახავდი, ჩათვლიდნენ, რომ იოლი იქნებოდა მათთვის ამ შედეგის მიღწევა. ეს ბარიერი მათ პარასკევს შემიქნეს. როგორც ჩანს, უკვე დაწყებული ჰქონდათ აბდალაძესთან მუშაობა. თუმცა, თავად აბდალაძემ არ თქვა უარი ჩემთან დაკავშირებით. მან მითხრა, პირიქით, გთხოვთ, რომ არ მიმატოვოთ და დარჩითო. სწორედ ამიტომ დავრჩი დაკითხვის ბოლომდე. როგორც ჩანს, გამოძიებას ახლა უნდა ერთი რამ — საპროცესო შეთანხმებამდე მივიდნენ.

***— კი მაგრამ, უმძიმესი ბრალდება — ჯაშუშობა და საპროცესო შეთანხმება?***

— მართლაც უმძიმესი მუხლია, მაგრამ გამოძიებას არ გაუჭირდება, ამ საქმეზე საპროცესო შეთანხმება გააფორმოს, იმდენად დიდია ამ საქმის ინტერესი. იმიტომ აცხადებენ, სასამართლო ღია იქნება, რომ მათ იციან, არ აპირებენ საქმის განხილვას. ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ დაკავებულ პირებთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს. აქ ლაპარაკი არ არის გათავისუფლებაზე. აქ ლაპარაკი იქნება მცირე სასჯელზე, რომელსაც ბრალდებულებს დაჰპირდებიან. აბდალაძემ ასეთი შეთავაზება მიიღო პროკურორისგან დაკითხვამდე ორი დღით ადრე. სასჯელის ვადა არ დაუკონკრეტებიათ, მაგრამ უთხრეს, რომ ის იქნება დაბალი სასჯელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მიიღებს მაქსიმუმს. ასე რომ, ახლა მთავარი ინტერესი სწორედ აქეთკენ არის გადატანილი.

როგორც მე-8 საპყრობილიდან გამოსულმა ეკა ბესელიამ მოგვიანებით განაცხადა, გიორგი აბდალაძე არ იყო თანახმა, რომ მისი აღიარება საჯაროდ ყოფილიყო ნაჩვენები.

ბესელიას თქმით, დაკავებულმა აბდალაძემ მას უთხრა, რომ ის თავისი საქმის შესახებ დეტალურად ისაუბრებს სასამართლო პროცესზე, როდესაც ფოტორეპორტიორების საქმის არსებითი განხილვა მოხდება.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებას, როგორც ციხიდან გამოსულმა ბესელიამ მიუთითა, აბდალაძის სურვილია, ჩატარდეს სასამართლო გამოძიება, ის იყოს საჯარო და ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე.

## პარლამენტი უკრაინაში მომხდარ ინციდენტზე კომენტარს არ აკეთებს

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში კიევში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ და ფაქტის შეფასებისგან თავს იკავებენ.

კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა „დროის არქონის" მიზეზით „პირველს" მომხდარის კომენტირებაზე უარი განუცხადა, ხოლო მისმა პირველმა მოადგილემ ირაკლი ქავთარაძემ ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარისგან თავი „ინფორმაციის არფლობის" მოტივით შეიკავა.

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა „პირველს" მხოლოდ ის განუცხადა, რომ „საგარეო პოლიტიკურ უწყებაში, ისევე, როგორც ყველა სხვა სამინისტროში შიდა რეგულაციები, მათ შორის ქცევის კოდექსი მოქმედებს და თუ კი დადასტურდება, რომ ადგილი ჰქონდა გადაცდომას, საგარეო უწყების შესაბამისი სამსახური ქვეყნის ინტერესებიდან და პრესტიჟიდან გამომდინარე იმოქმედებს".

**პირველი**

## მგზავრობა №100, №128 და №147 სამარშრუტო ხაზებზეც გაძვირდა

„რესპუბლიკური პარტიის" დედაქალაქის საქმეთა მდივანი თინათინ ხიდაშელი თბილისის მერიასა და სამარშრუტო ტაქსების ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას თბილისელების მოტყუებაში ადანაშაულებს.

როგორც ხიდაშელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „თბილისის მერია სამარშრუტო ტაქსების სფეროში შექმნილი განუკითხაობითა და კომპანიის საქმიანობით უნდა დაინტერესდეს".

— მიუხედავად მერიისა და კომპანიის წარმომადგენლების მტკიცებისა, რომ გაძვირება მხოლოდ №4 სამარშრუტო ხაზს შეეხებოდა, ეს ტყუილი გამოდგა. გუშინ დილით თბილისელებს ძველ სამარშრუტო ტაქსებშიც გაძვირებული - 80 თეთრიანი გადასახადი დახვდათ. კერძოდ, ჩვენ დაგვიკავშირდნენ სამარშრუტო ხაზების №100, №128 და №147-ის მგზავრები, რომლებიც ტრანსპორტის გაძვირებაზე წუხდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია იმ ხაზებზე, რომელთაც ჯერ კიდევ ძველი მანქანები ემსახურებათ, — განაცხადა ხიდაშელმა.

**პირველი**

# ქართულ დემოკრატიას თავი კიევშიც მოეჭრა

## საქართველოს საელჩოს თანამშრომელმა უკრაინელ ჟურნალისტებს სცემა

**წლების წინ საქართველოსა და მის ხელისუფლებას ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დემოკრატიის შუქურა უწოდა. ეს 2005 წელს იყო. მაშინ საქართველოში დემოკრატია, ასე თუ ისე, ისევ იყო. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ცდილობდა, რომ დემოკრატიული იმიჯი ჰქონოდა.**

თეა მარხვაი ე

ახლა ამ მხრივ სრულიად საპირისპირო ვითარებაა. ხელისუფლებას აღარ აინტერესებს დემოკრატიული იმიჯი. ჩვენი ნაციონალებისთვის ახლა მთავარი ძალაუფლების შენარჩუნებაა. ამ მიზნის მისაღწევად კი ყველა მსხვერპლზე მიდიან.



ჩვენმა ხელისუფლება არაერთხელ გამოავლინა თავისი „დემოკრატიულობა“. ბოლო დროს მიღებული კანონები კი პირდაპირ მიუთითებს თუ საით მიექანება ქვეყანა. ამ კანონების თანახმად, საქართველოში აქციების ჩატარება ფაქტიურად შეუძლებელი ხდება. აწი საპროტესტო აქცია შეგიძლიათ საკუთარ ბინაში ჩაატაროთ. ესეც იმ შემთხვევაში თუ გაგიმართლათ და მეზობლად ნაციონალები არ გყავთ.

არადა, ნაციონალები ჯიუტად გვიმტკიცებენ, რომ საქართველოში დემოკრატია ყვავის. თურმე ამის ნათელი დადასტურება საპარლამენტო ოპოზიციაა. თურმე ხელისუფლება ოპოზიციის აზრს იზიარებს და ა.შ.

ამის დასამტკიცებლად მათ კიდევ უამრავი არგუმენტები მოჰყავთ. თურმე დემოკრატია რომ არ იყოს, ამდენი რამე არ ითქმებოდა და არ დაიწერებოდა. ამ ქვეყანაში ბევრი რამე იწერება. ოპოზიცია და ცნობილი სახეები ხელისუფლებას სერიოზულად ლანძღავენ. თუმცა ეს არ არის დემოკრატია, რადგანაც ყველამ იცის, თუ რა ბედი ეწიათ იმ ადამიანებს, ვისაც ხელისუფლება შემოელანძღა.

ქვეყნის დემოკრატიულობის იმიჯი სერიოზულად შეარყია 26 მაისის აქციის დარბევამ. ფოტორეპორტიორების დაკავებამ კი დიდი წერტილი დასვა.

ამ მოსაზრებას, ცხადია, არ იზიარებს ხელისუფლება. მათთვის სააკაშვილი ისევ დემოკრატიის შუქურაა. სააკაშვილი შუქურობის დასამტკიცებლად მათ მეზობელი ქვეყნები ხშირად მოჰყავთ.

შედარებებს ამ მიმართულებით არც დასავლური პრესის ნაწილი იშურებს. მათი აზრით, რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით საქართველოში დემოკრატია ყვავის. აღარაფერს ვამბობთ შუა აზიის რესპუბლიკებზე.

მათთან შედარებით საქართველოში მართლაც არის დემოკრატია. თუმცა ესეც იმიტომ, რომ ქართველებს ცოტა სხვა ხასიათი აქვთ. ის რაც აზერბაიჯანში და შუა აზიაშია, აქ ვერ განხორციელდება. არადა, ჩვენს ხელისუფლებას ამის დიდი სურვილი აქვს. და თუ არაფერი შეიცვალა, შეიძლება სააკაშვილი და მისი რეჟიმი ხელისუფლებიდან საერთოდ არ წავიდეს.

დემოკრატიის შუქურის ჩაქრობაზე უკვე ბევრი იწერება უცხოურ პრესაში. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებშიც არის საუბარი.

ჩვენი ხელისუფლება ძალიან ბედნიერი დარჩა, როცა პუტინმა ცნობილი გერმანული პრემია ვერ მიიღო. მართლაც უხერხული იქნებოდა, რუსეთის პრემიერს ეს პრემია რომ მიეღო. ის დემოკრატი მმართველისგან ძალიან შორის დგას. სამწუხაროდ, მისგან შორს არ დგას ჩვენი ხელისუფლება. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენებურები მასთან ჩუმ-ჩუმად თანამშრომლობენ. ჩვენი ხელისუფლება უკვე კარგა ხანია პუტინიზაციის გზას დაადგა.

ამის მიუხედავად, ჩვენს სამეზობლოში მაინც უფრო დემოკრატიულები ვართ. თუმცა საეჭვოა, ერევანში ან ბაქოში ისე სასტიკად დაარბიონ აქცია, როგორც ეს თბილისში 26 მაისს მოხდა.

საქართველოში დემოკრატიის ყვავილობის მითი გუშინ უკრაინაშიც დაიმსხვრა. იმ უკრაინაში, რომელიც ჩვენი მეგობარია. ეს ის ქვეყანაა, სადაც ჩვენ მსგავსად რევოლუციით შეიცვალა ხელისუფლება. სააკაშვილი ვიქტორ იუშჩენკოს თავის მეგობარს და დიდ დემოკრატს ეძახდა.

იუშჩენკო მართლაც დემოკრატი მმართველი აღმოჩნდა. მართალია ის დღეს ხელისუფლებაში აღარ არის, მაგრამ მას უკრაინელები სათანადოდ დააფასებენ.

მოდით უკრაინაში დასაფლავებულ ქართულ დემოკრატიასაც მივხედოთ. დაკავებულ ფოტორეპორტიორებთან დაკავშირებით საქართველოში უკვე რამდენიმე დღეა აქციები მიმდინარეობს.

მათ მხარდასაჭერად განცხადებები სხვადასხვა ქვეყნებშიც გაკეთდა. ჩვენს ფოტოგრაფებს მხარდაჭერა უკრაინელმა კოლეგებმაც გამოუცხადეს.

გუშინ კი მათ მხარდასაჭერად კიევში, საქართველოს საელჩოსთან გაიმართა აქცია. აქცია ორგანიზაცია „ფემინას“ წევრებმა მოაწყვეს.

ამ ორგანიზაციის წევრი მანდილოსნები როგორც გამოხატავენ პროტესტს, ყველამ კარგად იცის. მანდილოსნები ჩვენს საელჩოს ტრადიციულად თითქმის შიშვლები მიადგნენ.

როგორც გაირკვა, ზონდერები ჩვენს ხელისუფლებას საელჩოშიც ჰყოლია. იმ დროს, როცა შიშველი ქალები პროტესტს გამოხატავდნენ, საელჩოდან უცნობი მამაკაცი გამოვარდა.

ის მუშტებით დაერია ქალებს. მათ გარდა ერთი-ორი უკრაინელ ჟურნალისტებსაც მოხვდა. ინციდენტის შედეგად ერთ-ერთმა უკრაინელმა ჟურნალისტმა ტვინის შერყევა მიიღო.

აქციაზე დაშავებული ჟურნალისტი „უკრაინსაკია პრავდას“ ცნობით, ალექსანდრ ივანკოვია.

— აქციის ჩაშლას საელჩოდან გამოსული უცნობი ადამიანი შეეცადა. ის ფემინას-ის აქტივისტებს მუშტებით დაერია, შემდეგ კი თავისი მოზღვავებული ენერგია ჟურნალისტებზე გადაიტანა. საელჩოს წარმომადგენელი აპარატურის დამტვრევას ცდილობდა, — იუწყება გუშინდელ ინციდენტთან დაკავშირებით უკრაინული მედია.

მომხდარ ინციდენტს უკრაინულმა მედიამ ასეთი შეფასება მისცა: „საქართველოს ხელისუფლება უკრაინელ ჟურნალისტებსაც მისწვდა“.

ჩვენი ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გაიმართლებს თავს. დასავლეთის თვალში კი კიდევ ერთი მინუსი დაგვეწერება. სამაგიეროდ, დემოკრატიულობით ჩვენ მეზობლებს მივუახლოვდებით.

ეს ხელისუფლებას აღარ ანაღვლებს. მათთვის ახლა მთავარი ძალაუფლების შენარჩუნებაა. არადა, ავიწყდებათ, რომ ამერიკა სწორედ იმიტომ გვეხმარება, რომ აქ დემოკრატიული წყობა იყოს.

დემოკრატია კი თავისთავად არ მოდის. ამისთვის თავად მოსახლეობამაც უნდა იაქტიუროს. მოსახლეობა ჯერ ისევ პასიურია. დემოკრატიის შუქურა კი თითქმის ჩამქრალია.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის
აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# გუბაზ სანიკიძე: „არიან მღვდლები, რომლებსაც მრევლის აღსარება ვანო მერაბიშვილთან მიაქვთ“

„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერის გუბაზ სანიკიძის განცხადებით, „თუ კი ქართულ და სომხურ ეკლესიებს საქართველოში ერთნაირი სტატუსი ექმენათ, სომხები „გადაგვივლიან“.

ამის შესახებ სანიკიძემ გაზეთ „ქრონიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

— რელიგიური კონფესიების შესახებ კანონი მისაღები არ იყო. არ შეიძლება, სომხურ და ქართულ ეკლესიებს საქართველოში ერთი და იგივე სტატუსი ჰქონდეთ. სომხური ეკლესია საქართველოს გარეთ გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ქართული ეკლესია და თუ მას შიგნით ისეთივე სტატუსი ექნება, ჩვენ სომხები გადაგვივლიან. სომხებს მეტი მრევლი ჰყავთ, მეტი ფული აქვთ და ნელ-ნელა დაიწყებენ ამ ქვეყნის გამოჭმას. როგორც მოექცა სომეხთა პატრიარქი საქართველოს პატრიარქს, ისე მოექცევა სომხური ეკლესია ქართულ ეკლესიას. თუნდაც არმენოფობად გამომაცხადონ, არ ვარ არმენოფობი. ქმადლობას ვუხდი იმ სომხურ საიტებს და გამოცემებს, რომლებმაც თავიანთი კათოლიკოსის ქმედების, იმის გამო, თუ როგორ ექცეოდა ის ილია მეორეს, განგაში ატეხეს. ასე ერთი ადამიანი მეორეს არ ექცევა, თუმცა მან ჩვენს პატრიარქს მისხალი ვერ დააკლო. სომხების ფასი და მათი დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე მე რომ ვიცი, შეიძლება, საქართველოში არცერთმა პოლიტიკოსმა არ იცოდეს. დღეს სომხების და ქართველების უბედურება ისაა, რომ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა არ გვაქვს, პოლიტიკურ ურთიერთობას ვგულისხმობ, — ამბობს სანიკიძე.



მისივე თქმით, „ჩვენ ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, სადაც სიცოცხლე სიკვდილის ტოლფასია და როგორც კი მოდუნდები, ვინმე კი არ შეგაწუხებს, პირდაპირ გაგანადგურებს, ამიტომ ქართული სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთს უნდა ეხმარებოდეს და არა ძირავდეს“.

— საქართველოში 2 ყველაზე გავლენიანი კაცი მიხეილ სააკაშვილი და ილია II არიან. პირველი ქვეყანას ანგრევს და აქცევს, ამიტომ ილია II ადეკვატური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. არ შეიძლება, ქვეყანა ამ დღეში იყოს, ამ საქმეს მარტო მოწოდება აღარ შველის, — განაცხადა სანიკიძემ.

ამასთან, მისივე აზრით, მიღებულ კანონთან დაკავშირებით მრევლის პროტესტს გაგრძელება იმიტომ არ მოჰყვა, რომ არიან მღვდლები, რომლებსაც მრევლის აღსარება ვანო მერაბვიშვილთან მიაქვთ.

— ჩემს მოძღვარზე არ ვსაუბრობ, ძალიან წესიერი მოძღვარი მყავს, მაგრამ არიან მოძღვრები, რომლებთანაც ადამიანები აღსარებას აბარებენ და უფლის მაგივრად, მათი აღსარება ვანოსთან მიდის. ვილაცისთვის ღმერთზე უფრო ძლიერი ვანო მერაბიშვილია, ამიტომ ის არ არის მორწმუნე, — აცხადებს გუბაზ სანიკიძე.

**პირველი**

# შსს მოქალაქეებს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს

შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი საქართველოში უცხო ქვეყნის ჯაშუშური ქსელის გამოსავლენად აქტიურად მუშაობას განგრძობს და მოქალაქეებს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს. შსს საქართველოს მოქალაქეებს შეახსენებს, რომ „თუ პირი დაკავშირებულია უცხო ქვეყნის სპეც-სამსახურებთან და ნებაყოფლობით გამოცხადდება კონტრდაზვერვის დეპარტამენტში, ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან ელექტრონულ ფოსტაზე დაუკავშირდება, იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება“.

— 2006 წლის 27 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებას საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააცნო, რომლის მიხედვით, პირი, რომელიც გამოცხადდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და სამართალდამცავებს მიაწვდიდა ინფორმაციას მისი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან კავშირის შესახებ, პასუხიმგებლობისგან გათავისუფლდებოდა. აღნიშნული განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა საქართველოს 11 მოქალაქე დააკავა, რომლებიც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარ სადაზვერვო სამმართველოსთან (გრუ) თანამშრომლობდნენ. ანალოგიური განცხადებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებას 2010 წლის 11 მაისს მიმართა, როდესაც სამართალდამცველების მიერ მასშტაბური სპეცოპერაცია ენვერი“ ჩატარდა, — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

**პირველი**

# ხათუნა კალმახელიძემ ანგარიში წარადგინა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ შემაჯამებელი ანგარიში წარადგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან აცნობეს, მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის რეფორმები, ხანგრძლივი პაემნისა და ვიდეოპაემნის დანერგვა, პროფესიული განათლების მიღებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა; ინფრასტრუქტურული განვითარება, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა და სხვა. ხათუნა კალმახელიძის თქმით, მიმდინარე წელს ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის მოდელის პილოტირება; მიმდინარეობს ტუბერკულოზის სამკურნალო დაწესებულების მშენებლობა; ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრიდან ყველა დაწესებულებაში მიმაგრებულია თანამშრომელი დაავადების უწყვეტი სკრინინგის მიზნით; 4 დაწესებულებაში ამოქმედდა ხანგრძლივი პაემანი, სხვა, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში მიმდინარეობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა; 2 დაწესებულებაში ამოქმედდა ვიდეოპაემანი; პროფესიული განათლების დანერგვასთან დაკავშირებით დაიწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა; ევროპის საბჭოს განვითარების ბანკმა საქართველოს ხელისუფლების მიერ წარდგენილი პროექტის ნაწილობრივი დაფინანსებისთვის შეღავათიანი კრედიტი დაამტკიცა. პროექტი ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურში პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების აშენებას ითვალისწინებს; დაინერგა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა; ძველ დაწესებულებებში გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაინერგა სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროექტები, მათ შორის მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა; გაძლიერდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს სერვისები.

**ინტერპრესნიუსი**

# აზერბაიჯანში საქართველოს მოქალაქემ თავი ჩამოიხრჩო

აზერბაიჯანში საქართველოს მოქალაქემ თავი მოიკლა. ამის შესახებ აზერბაიჯანული მედია იუწყება.

30 წლის რამიზ ბაირამოვმა ნაქირავები სახლის აივანზე თავი ჩამოიხრჩო. ინფორმაცია ბინაგადინის რაიონულ პროკურატურაში დაადასტურეს.

ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

**ინტერპრესნიუსი**

# ფოთში ახალგაზრდა მამაკაცი ზღვაში დაიხრჩო

ფოთში, ახალგაზრდა მამაკაცი ზღვაში დაიხრჩო. მისი გადარჩენა თვითმხილველებმა სცადეს და ნაპირზე აიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. გარდაცვლილი ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში მცხოვრები გიორგი ფარცვანია აღმოჩნდა. ცხედარი გადასვენებულია ზუგდიდის პროზექტურაში. ექსპერტიზის შემდეგ გახდება ცნობილი მისი გარდაცვალების ზუსტი მიზეზი.

**ინტერპრესნიუსი**

# ლეიბორისტები ფოტორეპორტიორებს თავდებში უდგებიან

**ლეიბორისტები ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებულ ფოტორეპორტიორებს თავდებში უდგებიან და მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ.**

შორენა კოწოწაშვილი

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ფოტორეპორტიორები უკანონოდ არიან დაპატიმრებული და, თუ დროზე არ იქნენ გათავისუფლებული, ხელისუფლება მათთვის სასურველ შედეგს დააყენებს ამ საქმეზე.



როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ფოტორეპორტიორების თავდებად დადგომის დოკუმენტს ლეიბორისტული პარტიის სადეპუტატო ჯგუფის წევრები — შალვა ნათელაშვილი, სოსო შატბერაშვილი, გიორგი გუგავა და კახა ძაგანია აწერენ ხელს.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ლეიბორისტული პარტიის ლიდერების მხრიდან ხელმოწერილ თავდების დოკუმენტს პარტიის ხელმძღვანელობა ალია ჰოლდინგს გადასცემს, რათა ამ უკანასკნელმა გამოძიებას გადასცეს.

სოსო შატბერაშვილის განცხადებით, ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფოტორეპორტიორები აბდალაძე, ცუცქირიძე და გედენიძე უკანონოდ არიან დაპატიმრებული. მათზე ხორციელდება ზეწოლა და გასაკვირი არ არის, ამ ზეწოლის შედეგად ის დანაშაული აღიარებინონ, რაც მათ არ ჩაუდენიათ.

— თუ ფოტორეპორტიორები არ გათავისუფლდებიან და მათზე ზეწოლა არ შეწყდება, ხელისუფლება შედეგად საზოგადოებისგან მძიმე განაჩენს მიიღებს, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

# დაკავებულ ფოტოგრაფებს თავდებში ქრისტიან-დემოკრატებიც უდგებიან

ნანა მიშელაშვილი

ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" წევრები დაკავებულ ფოტორეპორტიორებს გიორგი აბდალაძეს, ზურაბ ქურციკიძესა და ირაკლი გედენიძეს თავდებით გათავისუფლების ითხოვენ. ამ თხოვნით მათ ფრაქციაში ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს.

„ქრისტიან-დემოკრატი" პარლამენტის წევრები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203 მუხლის თანახმად, იღებენ ვალდებულებას, რომ პირად თავდებად უდგებიან დაკავებულ ფოტორეპორტიორებს.

ასევე, ისინი იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე ბრალდებულების სათანადო ქცევა, მათი გამომძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში გამოცხადება.

შესაბამისად, „ქრისტიან-დემოკრატები" სასამართლოს სთხოვენ მიიღოს მათი მხრიდან ვალდებულების აღება და გაათავსიუფლოს დაკავებული ფოტორეპორტიორები.

# №100 სამარშრუტო ხაზით მგზავრობა 80 თეთრამდე გაძვირდა

თბილისში №100 სამარშრუტო ხაზით მგზავრობის საფასური გუშინ 80 თეთრი გახდა. აღნიშნული მარშრუტი გლდანიდან იწყება და დიღმისა და დიდუბის გავლით ნუცუბიძის ფერდობზე მთავრდება.

აღნიშნული მარშრუტის მძღოლებს დღეს ფირნიშები დაურიგდათ წარწერით, - „მგზავრობის საფასური 80 თეთრი", თუმცა არ აკონკრეტებენ ვინ დაურიგა მათ აღნიშნული ფირნიშები.

მძღოლები მგზავრობის ფასის გაზრდას აპროტესტებენ. მათი თქმით, მგზავრებს 80 თეთრის გადახდა უჭირთ და დღეს ისინი კვლავ 50 თეთრს იხდიდნენ. ისინი შიშობენ, რომ მალე შესაძლოა გეგმა ვერ შეასრულონ და გაკოტრდნენ.

როგორც „მედიანიუსს" კომპანია „თბილისის მიკორავტობუსში" განუცხადეს, მგზავრობის საფასური მძღოლებმა თვითნებურად გაზარდეს, კომპანიას კი ფასის დარეგულირების ბერკეტი არ გააჩნია.

**მედიანიუსი**

# არნოლდ სტეპანიანი ჯავახეთის ავტონომიას ითხოვდა

## რა პროვოკაციული ბროშურა გამოსცა „მრავალეროვანმა საქართველომ"

თეა მარხვაი ე

**წინა კვირას საქართველოში სომხური დიასპორის ხელმძღვანელმა არნოლდ სტეპანიანმა ერთი ამბები ატეხა. სომხურ მედიასთან საუბარში მან საქართველოში არსებულ ანტისომხურ განწყობაზე ისაუბრა. სტეპანიანმა სომხეთის საწინააღმდეგო განცხადებებიც დაითვალა.**



სტეპანიანი მარტო დათვლას არ დასჯერდა და ეს განცხადებები სულ კაკალ-კაკალ შეაგროვა და ბროშურად გამოსცა. ეს ბროშურა რატომღაც ინგლისურ ენაზეა გამოცემული.

პირველი შემთხვევა არ არის, როცა ბროშურის ავტორი და „მრავალეროვანი საქართველო" საქართველოში არსებულ ქსენოფობიაზე საუბრობენ. ამასთან დაკავშირებით მათ ერთი ამბები აუტეხეს რობიკო სტურუას, რომელმაც თავის მხრივ ჩვენს პრეზიდენტთან დაკავშირებით უარყოფითი განცხადება გააკეთა. თან დაამატა, რომ ის სომხური წარმოშობისაა. ამას აქ დიდი ამბები მოჰყვა. „მრავალეროვანმა საქართველომ" განცხადება განცხადებაზე გააკეთა. მერე კი იმითაც დაიმუქრნენ, აწი ჩვენი ფეხი არ იქნება რუსთაველის სახელობის თეატრშიო.

ისე საინტერესოა, რატომ არაფერი თქვა იმავე მრავალეროვანმა საქართველომ 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებით. იმ დღეს სამართალდამცავებმა ქართველებთან ერთად სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც სცემეს, რომლებიც აქციაზე იმყოფებოდნენ.

არნოლდ სტეპანიანი ამჯერად იმ კანონთან დაკავშირებით გააქტიურდა, რომელიც პარლამენტმა 5 ივლისს მიიღო. სტეპანიანის მტკიცებით, ანტისომხურმა განწყობამ საქართველოში ამის შემდეგ მოიმატა.

საქართველოში სომხური დიასპორის შეფის ატეხილ ხმაურს გუშინ ორგანიზაცია „ენა, მამული, სარწმუნოება" გამოეხმაურა. ამასთან დაკავშირებით რეჟისორმა ზაზა სვანაძემ და ორგანიზაციის თავმჯდომარემ ლადო სადღობელაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს.

პრესკონფერენციაზე სვანაძემ და სადღობელაშვილმა სტეპანიანის მიერ შედგენილ ქსენოფობისტთა სია გააპროტესტეს. ამ სიაში ქართველი საზოგადო და სასულიერო პირები იყვნენ წარმოდგენილნი, მათ შორის, პოლიტიკოსებიც.

— ინგლისურ ენაზე შედგენილი სია, რომელიც სტეპანიანმა ბროშურების სახით გამოსცა, სავარაუდოდ, მომზადებულია გარე მოხმარებისთვის — დიპლომატიური კორპუსებისა და საელჩოებისთვის, რათა წარმოადგინოს, ვითომ როგორ ავიწროებენ ქართველები ისტორიულად მოძმე ეთნიკურ სომხებს, — განაცხადა „ობიექტივში" გამართულ პრესკონფერენციაზე ზაზა სვანიძემ.

მისი თქმით, ამ სიაში შალვა ნათელაშვილის, მარიკა ლორთქიფანიძის, რობერტ სტურუას, რეზო ამაშუკელის, გია ხუხაშვილის, რეზო ჩხეიძის, თემურ შაშიაშვილისა და სხვათა გვერდით, თავადაც მოხვდა.

— ჩემი შეფასებით, ეს არის პროვოკაციული ბროშურა, რომელშიც რიგ ქართველებს ბრალი ედებათ ექსტრემიზმის გაღვივებაში. „მრავალეროვანი საქართველოს" ხელმძღვანელს ოთხი დღის განმავლობაში 38 ე.წ. ქსენოფობიური შემთხვევა აქვს დაფიქსირებული, — ამბობს სვანიძე.

ის ამბობს, რომ სომხური დიასპორის თავკაცი თავად აღვივებს ექსტრემიზმს. ამის თქმის საბაბს რეჟისორს სტეპანიანის ინგლისურად გამოცემული ბროშურა აძლევს.

— გაუგებარია, რატომ გვაბრალებს ექსტრემიზმის გაღვივებას სტეპანიანი ჩვენ, როცა ამას ეთნიკური სომხები აკეთებენ? აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, თავდაპირველად სტეპანიანი ამბობდა, რომ მას ეს დოკუმენტი შიდა მოხმარებისათვის სჭირდებოდა, აპირებდა პროკურატურაში შეტანას და საჩივრის დაწერას, ახლა აღმოჩნდა, რომ იგი ამ დოკუმენტის საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისათვის გადაცემას აპირებს, რათა ამ ადამიანებს შემდგომში უცხო ქვეყნის საელჩოებმა ვიზები არ მისცენ და ამა თუ იმ ქვეყანაში არ შეუშვან, — განაცხადა სვანაძემ.

მისი თქმით, ქართველებსა და სომხებს შორის ურთიერთობებს სწორედ სტეპანიანი და მისი გამოხდომები გააფუჭებს.

„ენა, მამული, სარწმუნოების" ხელმძღვანელმა ლადო სადღობელაშვილმა საზოგადოებას სტეპანიანის წარსული შეახსენა. მისი თქმით, სტეპანიანი არის პიროვნება, რომელიც რამდენიმე წლის წინ, მხარს უჭერდა ჯავახეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამოცხადებას.

— მე არ ვარ ამ სიაში, მაგრამ რამდენიმე კითხვა მაქვს სტეპანიანთან. იგი პირდაპირ ადასტურებს, რომ ემხრობა სომხური მხარისათვის ექვსი ეკლესიის გადაცემას. როგორც იცით, ამ ექვსი ეკლესიიდან ხუთი თბილისში მდებარეობს. ვინ არის არნოლდ სტეპანიანი? ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ იგი რამდენიმე წლის წინ ჯავახეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას მოითხოვდა, ასევე, კარგად ვიცით, რომ მას თბილისში ძალიან ბევრი ბიზნესი აქვს. მაინტერესებს, ის უფლებადამცველია თუ ბიზნესმენი, რომელიც თავისი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. მის მიერ მომზადებული დოკუმენტი ზოგადად საქართველოს წინააღმდეგ შედგენილი აქტია, რადგან იქ 38 შემთხვევაა დაფიქსირებული, რომელიც საელჩოებს გადაეგზავნებათ. წარმოიდგინეთ, რამხელა დარტყმაა ეს ქვეყნისთვის. ჩემი აზრით, სტეპანიანი საქართველოს მოღალატეა, — განაცხადა ლადო სადღობელაშვილმა.

ქსენოფობისტური გამოვლინებები კარგი არ არის. ის განსაკუთრებით საშიში ხდება, როცა ვიცით, რომ რუსეთმა პროვოკაცია შეიძლება მოაწყოს. მოსკოვს უკვე დიდი ხანია უნდა, რომ საქართველო და სომხეთი ერთმანეთთან დააპირისპიროს.

ისე, სტეპანიანი საქართველოში რომ ითვლიდა ანტისომხურ გამოხდომებს, ურიგო არ იქნებოდა, სომხეთშიც ჩაეტარებინა აღწერა. ქსენოფობისტური განცხადებები იქაც მრავლად კეთდება.

სოსო ცინცაძემ დაითვალა და აღმოაჩინა, რომ იქ 63 ანტიქართული განცხადება გაკეთებულა.

და თუ სტეპანიანს ქართველების და სომხების ბედი ადარდებს, ანტიქართული განცხადებების ავტორებიც უნდა შეეყვანა იმ ინგლისურ ენაზე გამოცემულ ბროშურაში.

თბილისსა და ერევანს შორის ურთიერთობები ბოლოს მართლა დაიძაბა. ამ დაძაბულობაში პოლიტიკოსები ჯერ არ ერევიან. ჯერ ყველაფერი ეკლესიების დონეზეა. ამ დაპირისპირებასთან დაკავშირებით „ევრასიანეტმა" საინტერესო სტატია გამოაქვეყნა, რომლის თარგმანიც საიტმა „ფორეიგნპრესმა" შემოგვთავაზა.

— კონფლიქტმა, რომელიც რელიგიური უმცირესობების იურიდიული უფლებების განმტკიცებისთვის მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს მოჰყვა, განხეთქილების ის ახალი ხაზი გააშიშვლა, რომელიც არაერთგვაროვან ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე არსებობს და მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გავლენის ზღვარი ცხადყო, — ნათქვამია „ევრასიანეტზე" გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში.

სტატიას ასეთი სათაური აქვს „საქართველო: ანტისომხური ქვეტექსტი სახელმწიფოს და ეკლესიის კონფლიქტში".

ჟურნალისტი მოლი კორსო წერს, რომ 5 ივლისს სამოქალაქო კოდექსში მიღებული შესწორებების თანახმად, ის აღმსარებლობები, რომლებსაც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები ლეგალურ რელიგიებად აღიარებენ, შეძლებენ სრულუფლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად დარეგისტრირებას. მანამდე, მსგავს გაერთიანებებს საქველმოქმედო ან არასამთავრობო ორგანიზაციების სტატუსი ჰქონდათ. ცვლილებებმა, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობამ მაღალი შეფასება მისცა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევართა შორის აღშფოთება გამოიწვია და ბევრმა მათგანმა ამაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის შელახვის მცდელობა დაინახა. ქართული ეკლესიის განსაკუთრებულ როლზე შეხედულებას ამყარებს ისიც, რომ ის დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს და საგადასახადო შეღავათებითაც სარგებლობს. ივლისის დასაწყისში გამართული საპროტესტო აქციის დროს ასობით ადამიანი, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი და სასულიერო პირები ხატებით ხელში თბილისის ცენტრიდან მთავარი საკათედრო ტაძრის — სამებისკენ დაიძრა. ბოლო პერიოდის ეს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური (და ყველაზე ფერადი) საპროტესტო აქცია, იმის შეხსენებად იქცა, თუ რამდენად დიდ ძალას წარმოადგენს საზოგადოებაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.

— ეკლესიის მიმდევართა პროტესტი იმ შეშფოთების საფუძველზე გაჩნდა, რომ კანონი სომხეთის ეკლესიას საქართველოს მთელ რიგ ქართულ ეკლესიებზე ქონებრივი პრეტენზიის წამოყენების შესაძლებლობას აძლევს. ანტისომხურმა განწყობებმა უმალ ამოხეთქა და მკაფიოდ გამოჩნდა სატელევიზიო თოქ-შოუებში, ბლოგებსა და ამ თემაზე მიმდინარე დისკუსიებში სოციალურ ქსელ ფეისბუკში. კამათი მნიშვნელოვნად ჩაცხრა მას შემდეგ, რაც 12 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა, რომელმაც ყველას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდა. ამავდროულად, სინოდმა პარლამენტს სთხოვა „შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად" მომავალში რელიგიასთან დაკავშირებული კანონპროექტები საპატრიარქოსთან ერთად განიხილოს. მეორე დღეს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მონაწილეობა მიიღო ღვთისმსახურებაში, რომელიც პატრიარქმა ილია მეორემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გამართა, რაც იმის ხილული დადასტურება იყო, რომ დაძაბულობა განიმუხტა, — ნათქვამია პუბლიკაციაში.

ჟურნალისტი წერს, რომ მიუხედავად ამისა, საქართველოში საკუთარი კულტურული უფლებების გაფართოებისკენ მიმართული სომხური უმცირესობის ძალისხმევა, თბილისის ჩინოვნიკებს მოსვენებას არ აძლევს.

— 2009 წელს საქართველოს და სომხეთს შორის ურთიერთობა სამთავრობო დონეზე დაიძაბა, როდესაც ქართულ-სომხური საზოგადოების ორი აქტივისტი ჯაშუშობაში დაადანაშაულეს. სომხეთის სამოციქულო ეკლესია ყველაზე ძველი ქრისტიანული ეკლესიაა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სიძველით მესამეა, ასე რომ, კულტურული მეტოქეობის ნიშნები სახეზეა, — ვკითხულობთ სტატიაში.

# საქართველო ევროკავშირის მოთხოვნას გაითვალისწინებს

## რა სახის ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი გიორგი აბდალა ეს

ნათია ხურცილავა

ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში გაიმართა თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის მეოთხე შეხვედრა, რომლის დროსაც მხარეებმა განიხილეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის ფართო სპექტრი.

შეხვედრებს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მსგავსი ტიპის შეხვედრები საგარეო საქმეთა სამინისტროში მნიშვნელოვნად შეაფასეს.

— მთელი რიგი საკითხების განხილვა მოხდა. როგორც ყოველთვის, გადაიხედა თავდაცვის სფეროს ტრანსფორმაცია. თავდაცვითი შესაძლებლობები, პროფესიული სამხედრო განათლება. ასევე სამხედრო დოქტრინის განვითარება და საქართველოს ნატოში გაწევრიანების საგზაო რუკა. თუმცა, ასევე განხილულ იქნა მთელი რიგი დამატებითი საკითხები, რომელიც განსახილველი იქნება მიმდინარე კვირის განმავლობაში. ეს არის უწყებათა შორის სამუშაო ჯგუფი. შესაბამისად საქართველოს მხრიდან დელეგაციას წარმოადგენენ როგორც თავდაცვის, ისე საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. შესაბამისად ამერიკული მხრიდანაც შეხვედრებს თავმჯდომარეობენ თავდაცვის მდივნისა და სახელმწიფო მდივნის თანაშემწეები. ჩვენ ამ ტიპის შეხვედრებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ და დიდი ინტერესით ვეკიდებით. მოხარული ვართ და მივესალმებით, რომ წარმატებით მიმდინარეობს ქარტიის ფარგლებში ყველა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. იმედი გვაქვს, რომ ეს დინამიკა შენარჩუნდება. მიღწეულ პროგრესს, ვიმედოვნებთ, რომ მხარეები განიხილავენ შემაჯამებელ სხდომაზე, რომელიც შემოდგომაზეა დაგეგმილი. იმედი გვაქვს, შესაბამისი პროგრესიც იქნება ასახული, — იმედოვნებს ნინო კალანდაძე.



**საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ გასული კვირის მოვლენები შეაჯამა და მიმდინარე კვირის მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა. ნინო კალანდაძის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქარტიის ფარგლებში მორიგი შეხვედრა გაიმართა.**

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვეტილება მიიღო, საქართველოს აღმნიშვნელი სიტყვა შეცვალოს.

— ჩვენთვის ძალიან მისასალმებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, როდესაც მათ სწორედ ქარტიის ფარგლებში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს მოქალაქეებზე გაცემულ სამგზავრო დოკუმენტებში, ვიზებში საქართველოს მოქალაქეობის აღმნიშვნელი სიტყვა „გრუზია“ აღარ იყოს და შეიცვალოს „ჯორჯიათი“, რომელიც მიუთითებს ლათინურ სახელწოდებას. როგორც ამერიკული მხარე გვაცნობებდა, ეს საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური კუთხით. მათ საბოლოო ჯამში მოახერხეს ამ ცვლილების განხორციელება. სწორედ ქარტიის ფარგლებში იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული 15 მარტს. ამას წინ დიდი მოლაპარაკებები უძღოდა, რამაც გამოიწვია ეს სასიხარულო შედეგი, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

რაც შეეხება საქართველოში დაგეგმილ უცხოურ ვიზიტებს, ნინო კალანდაძის ინფორმაციით, 19-20 ივლისს საქართველოს ვიზიტით ეწვევა იორდანიის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი.

ასევე ვიზიტის ფარგლებში ბათუმში გაიმართება ბიზნეს ფორუმი.

— მნიშვნელოვანია ეს ვიზიტი ერთი მხრივ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ არის ძალიან მკაფიო დემონსტრირება იორდანიის მხრიდან. ამავდროულად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვიზიტის ფარგლებში იგეგმება ბიზნეს ფორუმის ჩატარება, რომელიც ქალაქ ბათუმში გაიმართება. იმედი გვაქვს, რომ მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს როგორც ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში, ისე ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, — აღნიშნა კალანდაძემ.

საქართველოში ასევე ვიზიტით იმყოფება ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები.

აღნიშნული ვიზიტი 18 ივლისს დაიწყო და 21 ივლისამდე გასტანს. საქართველოში უკვე იმყოფებიან ევროკავშირის წარმომადგენელი პიერ მორელი, გაეროს წარმომადგენელი ანტონ ტურუნენი, ეუთოს წარმომადგენელი გეიდრიუს ჩეკუოლოსი.

ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლები შეხვედრას გამართავენ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანთან გიგა ბოკერიასთან.

შეხვედრაზე განხილული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო დროს მომხდარი ტერორისტული აქტები.

გარდა ამისა, საერთაშორისო მისიების წარმომადგენლები შეხვედრას გამართავენ ქართული დელეგაციის სხვა წევრებთან.

— ამ ვიზიტის მიზანი არის ადგილზე ვითარების შესწავლა. ამავდროულად შემდეგი რაუნდის მოსამზადებელი დღის წესრიგის შეჯერება ქართულ დელეგაციასთან. შესაბამისად დაგეგმილია დელეგაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრა. ჩვენი მხრიდან კვლავ იქნება დაყენებული ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ამავდროულად ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე და საქართველოში განხორციელებული ტერორისტული აქტები, რომელთა გამოძიებაშიც აქტიურ მონაწილეობას ვითხოვთ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

19-20 ივლისს თანათავმჯდომარეები ცხინვალსა და აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში გაემგზავრებიან.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მორიგი რაუნდი 4 ოქტომბერს არის დაგეგმილი.

ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა ევროკავშირის პრეზიდენტის წერილზე კომენტარი სთხოვეს კალანდაძეს.

ევროკავშირის პრეზიდენტმა, ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ წერილი გამოუგზავნა, სადაც ის მოითხოვს 26 მაისის ობიექტურ გამოძიებას, ასევე ის აცხადებს, რომ არაობიექტური და არასაკმარისი იყო ის სასჯელი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო დამნაშავე პირებთან მიმართებაში.

როგორია აღნიშნულ რეკომენდაციაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია და აპირებს თუ არა სახელმწიფო ამ რეკომენდაციის გათვალისწინებას?

ამ კითხვას კალანდაძე ასე პასუხობს:

— ვალდებულებაზე არ არის საუბარი, საქართველო სუვერენული სახელმწიფო არის და აქვს თავისი ინსტიტუტები, რომლებიც შესაბამისად ფუნქციონირებენ. თუმცა, საქართველოს ინტერესშია, რომ მსგავსი ტიპის რეკომენდაციები გაითვალისწინოს. საქართველო გასული წლების განმავლობაში განსაკუთრებული გულისყურით უსმენს სწორედ ამ რეკომენდაციებს და ითვალისწინებს მათ. ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებითაც ეს რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებისთვისაც ცნობილია. შესაბამისად რამდენადაც ჩვენთვისაც ცნობილია, სამართალდამცავმა ორგანოებმა შესაბამისი რეაგირება მოახდინეს. თუმცა, მოახდინეს არა რეკომენდაციების საფუძველზე, არამედ იმიტომ, რომ უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ინტერესშია, საქართველოს ხელისუფლებამ სრულფასოვნად და ადეკვატურად გამოიძიოს ყველა ის ფაქტი, რომელიც კითხვის ნიშანს ბადებს და რომელიც შეიძლება სამართალდარღვევებთან იყოს დაკავშირებული, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

ჟურნალისტებმა ნინო კალანდაძეს ფოტორეპორტიორების საქმესთან დაკავშირებით კითხვა დაუსვეს.

რა სახის ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი გიორგი აბდალაძეს და რა სახის ინფორმაციის გატანა მოახერხა საგარეო საქმეთა სამინისტროდან?

ასევე, დადგება თუ არა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც ვალდებული იყო საიდუმლო ინფორმაცია დაეცვა?

— ჩვენი მხრიდან და არამხოლოდ ჩვენი მხრიდან ამომწურავი განცხადება გაკეთდა. რა სახის ინფორმაციის გატანა იყო შესაძლებელი აქედან, ვერ გეტყვით, რადგან საქმის წარმოებას გრიფით „საიდუმლო“ ადევს. შესაბამისად, ჩვენც მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ინფორმაციას ვფლობთ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ამ ნაწილში გრიფი მოეხსნას, სავარაუდოდ, საზოგადოებისთვის მეტი დეტალი გახდება ცნობილი. ამ ეტაპზე დამატებით ინფორმაციას არ ვფლობთ, — ასე პასუხობს კალანდაძე.

# არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა გაიზარდა

## რას გვიჩვენებს სტატისტიკის ანალიზი

5 თვის სტატისტიკის მიხედვით, სასამართლოებში გაიზარდა აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების მაჩვენებელი და შესაბამისად, შემცირდა დაპატიმრების გამოყენების რიცხვი. გაიზარდა ასევე გამამართლებელი განაჩენების რაოდენობაც.

სასამართლოს ძირითადი სტატისტიკური მონაცემები კი ასეთია:



### არასაპატიმრო სასჯელებისა და აღმკვეთების რიცხვი გაიზარდა

2011 წლის 5 თვის მონაცემებით, გაიზარდა გირაოს ხვედრითი წილი აღმკვეთი ღონისძიებების საერთო რაოდენობაში. თუ 2010 წლის 5 თვის მონაცემებით, აღმკვეთი ღონისძიების საშუალებად პატიმრობას იყენებდნენ საქმეთა 53,3 პროცენტზე, გირაოს კი 45,6 პროცენტზე, 2011 წლის მონაცემებით, შემცირდა დაპატიმრების რიცხვი და გაიზარდა გირაოს გამოყენების მაჩვენებელი. დაპატიმრება 47,8 პროცენტი, გირაო 52 პროცენტი. ეს რაც შეეხებოდა აღმკვეთ ღონისძიებებს, რომელიც პირის სასამართლოში მისი საქმის განხილვამდე მდგომარეობას შეეხება, ანუ, დღეს არსებული სიტუაციის ანალიზის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულ პირთა დიდი ნაწილი სასამართლო სხდომას გარეთ, თავისუფლებაზე მყოფი ელოდება.

რაც შეეხება, უკვე დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასჯელის გამოყენების მაჩვენებელს: 2011 წლის 5 თვეში მსჯავრდებული 7927 პირიდან— თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 3317 პირს, სულ მსჯავრდებულთა 41,8 პროცენტს. მაშინ როცა, 2010 წლის იმავე პერიოდში სასჯელის სახით პატიმრობა მიესაჯა- 48,1 პროცენტს.

პატიმრობის რიცხვის შემცირება აისახა ისეთი არასაპატიმრო ღონისძიებების ზრდაზე,

როგორიცაა პირობითი მსჯავრი და ჯარიმა.

2011 წლის 5 თვის მონაცემებით, პირობითი მსჯავრი მიესაჯა 4173 პირს, ანუ მსჯავრდებულთა 52,6 პროცენტს, ხოლო ჯარიმა 402 პირს (5,1 პროცენტი).

### გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა 3,5-ჯერ გაიზარდა

2011 წლის 5 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 15 პირის მიმართ გამოიტანეს გამამართლებელი განაჩენი. სტატისტიკის მიხედვით, ეს რიცხვი 3,5-ჯერ მეტია წინა წლის იმავე პერიოდში გამოტანილ გამამართლებელ ვერდიქტთან შედარებით.

ხოლო 23 პირის მიმართ სასამართლომ საქმე შეწყვიტა. ფაქტობრივად, შეწყვეტილი საქმეების დროს ბრალდებულის მიმართ გამართლების „ტოლფასი“ გადაწყვეტილება გამოდის.

ასევე საინტერესოა მთლიანობაში მსჯავრდებულთა სასარგებლოდ გამოტანილი განაჩენების ხვედრითი წილი (27 პროცენტი).

### საპროცესო შეთანხმებების რიცხვი გაიზარდა

2011 წლის 5 თვეში, 2010 წლის 5 თვესთან შედარებით, საპროცესო შეთანხმებით შემოსული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 3,8 პროცენტით, ხოლო საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანით განხილული საქმეები-1,2 პროცენტით.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების ხვედრითი წილი სულ განხილულ საქმეებში,0 გასული წლის 5 თვის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, 76,2 პროცენტიდან გაიზარდა 86,2 პროცენტამდე.

### სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები

2011 წლის 5 თვეში, 2010 წლის 5 თვესთან შედარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში გაიზარდა, როგორც შემოსული (33,8 პროცენტით), ასევე განხილული საქმეების (42,5 პროცენტით) რაოდენობაც.

შესაბამისად გაიზარდა (44,3 პროცენტით) გადაწყვეტილების გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობაც და 2011 წლის 5 თვეში შეადგინა 8832 საქმე.

განსხვავებული ტენდენცია შეიმჩნევა ადმინისტრაციული საქმეების ანალიზის დროს.

2011 წლის 5 თვეში, 2010 წლის 5 თვესთან შედარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემცირდა როგორც შემოსული (3,5 პროცენტით), ასევე განხილული საქმეების (14 პროცენტით) რაოდენობაც.

შემცირდა ასევე გადაწყვეტილების გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობა და მიმდინარე წელს შეადგინა 2752 საქმე.

161 საქმით, ანუ 55 პროცენტით შემცირდა მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობა.

### ადმინისტრაციული დავები

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 5 თვეში საკასაციო საჩივრით განიხილა 905 ადმინისტრაციული საქმე, აქედან ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 391 საქმე (43,3 პროცენტი), ხოლო ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ 502 საქმე (55,5 პროცენტი). დაახლოებით იგივე თანაფარდობა დაფიქსირდა საგადასახადო დავების განხილვისას. საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 52 საქმე, ანუ 40,9 პროცენტი, ფიზიკური პირების სასარგებლოდ კი-- 69 საქმე, ანუ 54,3 პროცენტი.

# მგზავრობა 60%-ით გაძვირდა

ქეთი ხომერიკი

როგორც მოგეხსენებათ, მგზავრობა გაძვირდა, უკვე გაძვირებულ მგზავრობას მძღოლებიც აპროტესტებენ. „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი გია ყრუაშვილი და პარტიის სხვა წარმომადგენლები გუშინ მე-4 სამარშრუტო ტაქსის ხაზის მძღოლებს შეხვდნენ. მათ კიდევ ერთხელ მოუწოდეს ხელისუფლებასა და აღნიშნულ კომპანიას, შეასრულონ ის ვალდებულებები, რომლებიც აკისრიათ მათ.

— როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო“ იყო პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც გააპროტესტა სამარშუტო ხაზების მონოპოლიზირება, ხოლო შემდეგ ორგანიზება გაუწია საპროტესტო აქციებს, რომლებიც იმართებოდა ქალაქის მერიისა და საკრე-



ბულოს გადაწყვეტილებათა გამო. აქციების პარალელურად ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბატონ ჯოხაძის და ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ბატონ დავით ასანიძის სახით დადო პირობა ერთი მხრივ მოსახლეობასთან, რომ მგზავრობის ღირებულება არ გაიზრდებოდა და მეორი მხრივ, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებთან, რომ ისინი იქნებოდნენ თანაბარ პირობებში ყველა დანარჩენ სამარშრუტო ხაზთან ერთად, რაც მტკნარი სიცრუე არმოჩნდა როგორც მომხმარებლის, ასევე იქ დასაქმებული პირთათვის, — აცხადებს, ყრუაშვილი.

ყრუაშვილის თქმით, ყვითელი სამარშრუტო ტაქსების გამოჩენიდან ნათელი გახდა, რომ ყველა დაპირება კომპანიიდან და საკრებულოდან იყო მხოლოდ დაპირება. „მგზავრობა გაძვირდა 60 პროცენტით, რაც კატასტროფულად მოქმედებს ერთი მხრივ მოსახლეობაზე და მეორე მხრივ, თვითონ მძღოლებზე, რადგან მათ ველარ გადაჰყავთ მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც მისცემდა საშუალებას მძღოლს გეგმის შესრულებაზე, — აღნიშნა, ყრუაშვილმა.

— 17 ივლისს მე-4 სამარშრუტო ხაზის მძღოლები დღის პირველ ნახევარში გაიფიცნენ, მიზეზი მგზავრთა ნაკლებობა და შესაბამისად, გეგმის დაწევის მოთხოვნაა, გაფიცვიდან რამდენიმე წუთში ავტო ფარეხში მივიდნენ კომპანიის დირექტორი ასანიძე და საკრებულოს წარმომადგენელი ჯოხაძე, რომლებმაც პირველ რიგში, სთხოვეს არ გაეხმაურებინათ პროტესტი. თავის მხრივ, წარმომადგენლებმა მძღოლებს აღუთქვეს პირობა, რომ სულ ცოტა ხანში მთელი თბილისის მასშტაბით მგზავრობის ღირებულება იქნება ყველა ხაზისთვის 80 თეთრი, მანამდე კი ყველა სამარშუტო ტაქსს ეყოლება გამყოლი, რომელიც აღრიცხავს მგზავრთა რაოდენობას — განაცხადა ყრუაშვილმა.

პოლიტიკური პარტია თავისუფალი საქართველო მოუწოდებს როგორც საკრებულოს, ასევე ხაზის მფლობელ კომპანიას, შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები გზავრობის ღირებულებასთან დაკავშირებით და ასევე მძღოლებთან მიმართებაში.

# როგორ უნდა მოაწყოს გადატრიალება უიარაღო ადამიანების ჯგუფმა

ქეთი ხომერიკი

საზოგადოებას ალბათ კარგად ახსოვს 26 მაისის დილას ყინწვისის მონასტერში დაკავებული „სახელმწიფო გადატრიალების“ ავანგარდისტთა 24 კაციანი ჯგუფი, რომელიც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის მიერ იყო შექმნილი და რომელიც, იმავე დღეს გამოიყვანეს ტელევიზიით და აღიარებინეს „სახელმწიფო გადატრიალების“ მცდელობა. ეს ხალხი, ყოველ შემთხვევაში, ისინი ვინც ტელევიზორში გამოიყვანეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყველა მოთხოვნის დაცვით იყო ნაცემნაბეგვი, ზოგს სუნთქვაც კი უჭირდა, ზოგი დიდი გაჭირვებით ლაპარაკობდა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არავის აწუხებს და, ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს ასეთ მცირე დეტალს, როცა „სახელმწიფო გადატრიალებასთან“ გვაქვს საქმე. თუმცა ძალიან გაგვიჭირდება იმის გაგება ყინწვისის მონასტერში უიარაღოდ შეკრებილი 24 კაცი რის გადატრიალებას აპირებდა, როგორ აპირებდა და რაც მთავარია, 26 მაისს, როცა თბილისში საშინელება ტრიალებდა „სახელმწიფო გადამტრიალებელთა ჯგუფი“ გნებავთ შეიარაღებული, გნებავთ უაირაღო, რატომ იყო მოშორებული საქართველოს ხელისუფლების ადგილსამყოფელს ერთი მხრივ და მეორეს მხრივ, საქართველოს მთავრობისადმი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უარყოფითად განწყობილ ადამიანებს, (სახალხო კრებას და მის მხარდამჭერებს).

ეს საკითხი, ცხადია, არ მოხდებოდა ჩვენი ყურადღების ცენტრში, რომ არა კულუარულად მიღებული ინფორმაცია სასამართლოდან, სადაც ჩატარდა რამდენიმე პროცესი მკაცრად და ვიტყოდი, საშვილიშვილოდ დახურულ კარს მიღმა. სადაც სხვადასხვა ვადით საპროცესო გარიგების შედეგად გასამართლდნენ „სახელმწიფო გადატრიალების“ მცდელობისათვის დაკავებული ადამიანები. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ფინანსებზე არ წასულა ლაპარაკი, საპროცესო გარიგებისათვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, ამ ადამიანებს თავი დამნაშავეებად ეცნოთ „სახელმწიფო გადატრიალების“ მცდელობაში და მეტი არაფერი. საერთოდ, საქართველოსნაირ ჭკუაზე მყოფ ქვეყნებში (დიახ, დიახ, დღევანდელი საქართველოსნაირი ჭკუაზე მყოფებიც არსებობენ!) მიღებულია, რომ უდანაშაულობა ითვლება ბრალში შემამსუბუქებელ გარემოებად, ყოველ შემთხვევაში, უდანაშაულო კაცის გარეთ გაშვებას ერიდებიან ხოლმე — იქნებადა „ღმერთი გაუწყრეს კაცსა და მერე კომპენსაცია მოითხოვოს, კომპენსაციას კიდევ არა უშავს, შეიძლება ისეთი თავხედი აღმოჩნდეს ეს კაცი, რომ ბოდიშის მოხდაც კი მოითხოვოს სახელმწიფოსაგან და მისი სამართლებრივი სისტემისგან, ხოლო ეს ანგრევს სახელმწიფოს. როცა სახელმწიფო გეუბნება, რომ ხარ დამნაშავე, ეს იმას ნიშნავს, რომ ან აღიარებ და მიიღებ რამდენიმეწლიან ციხეს ( ოღონდ იმ ვადით, რომ შემდეგი არჩევნების მერე გამოხვიდე, იმ არჩევნებზე, რომ არაფერი დააშავო) ან თუ არ აღიარებ, უდანაშაულობა უკვე აღარ იქნება შემამსუბუქებელი გარემოება და შეიძლება ამას 10 ან სულაც 20 წლის ციხე მოჰყვეს, კიდევ პლუს დამატებით, ოჯახის ძალიან ახლო წევრი, ასევე უდანაშაულო შეიძლება გაასამართლონ და მასაც 10 წელი მისცენ, რომ ციხეში მთელი 10 წლის განმავლობაში პატიმარს ერთი დღეც არ ჰქონდეს მშვიდი. მოკლედ, დაუზუსტებელი ინფორმაციით, რამდენიმემ აღიარა „სახელმწიფო გადატრიალებაში“ მონაწილეობის მცდელობა, მიიღეს 4 თუ 5 წლით პატიმრობა, გარდა ამისა, მერე კიდევ 5 წლის განმავლობაში ისინი ჩაითვლებიან პრობაციონერებად. ანუ საქართველოში და დღევანდელ ქართულ სისხლის სამართლებრივ პოლიტიკაში ერთი თავისებურება გამოიკვეთა: რამდენიმე არასრულწლოვანს, მათ შორის, არასრულწლოვან გოგონას ჩხუბის გამო შეიძლება მისცენ 10 წლიან პატიმრობაზე მეტი, ხოლო 40-ს გადაცილებულ ვაჟკაცებს „სახელმწიფო გადატრიალების“ მცდელობისათვის (რა მოგახსენოთ, რომელი უფრო მძიმე დანაშაულია, ჩვენი გადასაწყვეტი არ გახლავთ) 5 წლის ციხეს აძლევენ. მაშასადამე, არ არის საკმარისი ერთი ადამიანის „მკვლელობის მცდელობა“, „სახელმწიფო გადატრიალების“ მცდელობა ნიშნავს ასობით ადამიანის მკვლელობის მცდელობას? ვინ იცის...

ჩვენი სტატიის მიზანი არ გახლავთ დაწვრილებითი ანალიზი „სახელმწიფო გადატრიალებისა“, იმ სცენარისა, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ეს სახელმწიფო გატრიალება. ჩვენ გვაინტერესებს, როგორ აწყობს სახელმწიფო გადატრიალებას შეიარაღებული ჯგუფი, რომელსაც როგორც გავიგეთ, არავითარი იარაღი არ ჰქონია. აი, ის პლასტმასის მილებიც კი არ ჰქონია, რომლებიც მომიტინგეებს ჰქონდათ და რომელთა ქონაც ახლა უკვე აკრძალულია, საქართველოს კანონმდებლობით რასაკვირველია. გვაინტერესებს, რომელიმე მონასტერში 20 -მდე მლოცველის წაყვანა შემთხვევით მეორე „სახელმწიფო გადატრიალება“ ხომ არ იქნება და ბოლოს, გვაინტერესებს, ეს ხალხი იცნობდა თუ არა სახელმწიფოს სხვა გადამტრიალებლებს რუსეთში მოკალათებულ საქართველოს მტრებს, ფე ეს ბეს გენერლებს და რითი აპირებდნენ საერთოდ გადატრიალებას, რა სქემით მოქმედებდნენ, ფარებით, შუბებით თუ რით? ყოველ შემთხვევაში, არც იმ საუბრის ჩანაწერები, რომლებიც მოგვასმენინეს, არც ამ ნაწამები ხალხის აღიარებითი ჩვენება, არც ის სასჯელი, რომელიც მათ შეეფარდათ „სახელმწიფო გადატრიალებისათვის“ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საზოგადოებამ რაიმე წარმოდგენა შეიქმნას — მართლა რაიმე ხდება თუ, ან მავანთა ჰალუცინაციების გამო ხდება ხალხის დაპატიმრება, წამება და გასამართლება. ვინმე კეკლუცობს საზღვარგარეთ და ამბობს, რომ ჩემი მტრები არ ისვენებენ და ყოველდღე სახელმწიფო გადატრიალებას მიწყობენო თუ ჩვეულებრივ პოლიციურ, მერაბიშვილის უწყებისათვის დამახასიათებელ ტერორთან გვაქვს საქმე.

კიდევ ერთი უცნაური საკითხი რჩება ღიად — მეტი რომ არ ვთქვათ ღიად, და მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური, თორემ რა შეიძლება დაერქვას იმას, რომ მოსკოვიდან ვილაცეები თბილისში მართავენ „სახელმწიფოს გადამტრიალებელ ჯგუფს“ ( 26 მაისს ყინწვისში, რომ აიყვანეს იმათ), ხოლო შემკვეთები თუ ორგანიზატორები, მოკლედ, ბრძანების გამცემები არც ძებნილებად არიან გამოცხადებულები და არც არავინ მათ დაკავებას არ მოითხოვს; მით უმეტეს, არ მოითხოვს საქართველოს მხარისათვის გადმოცემას და გასამართლებას. რუსეთი მტერია და ჩვენ მასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილი გვაქვსო — შეიძლება ასეთი არგუმენტიც მოიშველიოს ვინმე საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა. არ არის ასე. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ მთელი ეს სახელმწიფო გადატრიალება, 26 მაისი სისხლიანი ანგარიშსწორებით, გაუგებარი და გაურკვეველი „შეიარაღებული ჯგუფებით“, რომლებსაც სინამდვილეში (როგორც შევიტყვეთ) სულაც არ ჰქონით იარაღი და მთელი პროპაგანდისტული ბაქანალია, რომელიც ამ თემის გარშემო აგორდა, სულაც არ იყო რუსეთის სცენარი, არამედ დაიგეგმა საქართველოში, შეთანხმდა ამერიკელებთან, მიზნად ისახავდა საერთაშორისო ორგანიზაციების მოტყუებას ერთი მხრივ და ქართული საპროტესტო ელექტორატის წელში გატეხვას მეორე მხრივ. ბრწყინვალედ იყო გათვალისწინებული ჩვენი პრეზიდენტის ხასიათის თავისებურებანი, რომელსაც ძალიან უყვარს კატის დაჭერა ბნელ ოთახში, მაშინაც კი, როცა ის იქ არ იმყოფება, ოღონდ კატა რუსული უნდა იყოს. ამ სცენარის მიხედვით ეს ხალხი გამოყენებული იქნა ბრმა იარაღად, ხოლო ხაჩიშვილი და გელბახიანი ამ სიტუაციაში უფრო პროვოკაციასა თუ სატყუარაზე წამოგებულ მსხვერპლს ჰგავანან, ვიდრე (როგორც გვანახეს) სახელმწიფო გადატრიალების გეგმის ავტორებს, ხელმძღვანელებს და მით უმეტეს, დამფინანსებლებს.

# „მართლმადიდებელთა კრებული“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და წმიდა სინოდს მიმართავს

„მართლმადიდებელთა კრებული“, რომელიც ბოლო დღეებში თბილისში მართლმადიდებელი მრევლის ლოცვითი აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და წმიდა სინოდს მიმართავს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

— თქვენო უწმიდესობავ, მღვდელმთავარნო, უკეთ მოგეხსენებათ დღეს საქართველო რა მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ყველაზე საშიში კი ისაა, რომ ხალხი დარჩა იმედგაცრუებული. ბოლო დროს საზოგადოების მოთხოვნა საქართველოში საერთოდ არ კმაყოფილდება... ყველა სხვა ერისა და რელიგიის პრივილეგიის ფონზე აშკარად ილახება ქართველებისა და მართლმადიდებლების უფლებები. ასეთი შენიღბული ბრძოლის დროს, როგორც ერს, ისე ბერს დიდი სიბრძნე და მამაცობა გვმართებს.

გაგიკადნიერდებით და სიმართლეს გეტყვით, რომ უმრავლესობა არა ვართ კმაყოფილი ბოლო სინოდის კრების გადაწყვეტილებით. როცა ხალხი ასე მასიურად გამოდის კონკრეტულ მოთხოვნებზე: რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის მინიჭება იქნება ეს თუ 13 ბარათების იძულება, სულ მცირე უნდა განემარტოს ამ ხალხს მიმდინარე მოვლენების შესახებ. საზოგადოებაში გაურკვევლობაა და დიდი ინტერესია შექმნილი — რომელმა იერარქმა დააფიქსირა მხარდაჭერა მიღებული კანონის სასარგებლოდ „რელიგიური ორგანიზაციისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ“ და რატომ? ანდა რომელნიც არ არიან ამ კანონის მომხრენი ღიად გამოხატონ თავიანთი შეხედულება — უქადაგონ ხალხს, რათა გაირკვეს კეთილი და ბოროტი, რაც ქრისტიანის მთავარი მოვალეობაა.

ჩვენ გვესმის, რომ სინოდის კრება დახურულად ტარდება, მაგრამ, რადგან საზოგადოებაში სხვადასხვა საფუძვლიანი ეჭვია შექმნილი, მითქმამოთქმის ასარიდებლად, სჯობს საჯაროდ მოხდეს მისი განხილვა. თუ იერარქთა გადაწყვეტილება ღვთისთვის სათნოა და მართალი, რა არის აქ დასაფარი?! არსებობს მსოფლიო დიდი საეკლესიო კრების მაგალითები, სადაც კრებაზე ერი და ბერი ერთობლივად იღებდა მონაწილეობას. ასეთი ჯანსაღი მსჯელობა ახლაც ხელს შეუწყობს როგორც ერის სიმართლეში გამორკვევას, აგრეთვე პირს დაუყოფს და შეაჩერებს მრავალ ბნელ და ბოროტ ძალას, რომელნიც კარგა ხანია საპროვოკაციოდ არიან ჩასაფრებულნი.

იმ დღეს, საპატრიარქოსთან, სადაც სხვა რელიგიათა სტატუსი იხილებოდა, ათასობით მართლმადიდებელთა მოთხოვნა (ხელმოწერებით) ელექტრონული საბუთების იძულებასთან დაკავშირებით კრებამ საერთოდ არ განიხილა. ვინ დარჩა უფლებაშელახული?!

ვგონებთ მართლმადიდებელ სამყაროში ჩვენი ეკლესიაღა დარჩა, რომელსაც ამ საალმსარებლო საკითხზე პოზიცია არ დაუფიქსირებია. სახელმწიფოს არა აქვს არანაირი უფლება არ დაუტოვოს მოქალაქეს ალტერნატიული საბუთების გზა და გარიყოს ადამიანები საკუთარი ქვეყნიდან. უცხოეთში ამ მნიშვნელოვან თემაზე მუშაობდნენ კომისიები და ელექტრონული ბარათების საწინააღმდეგოდ სათანადო დასკვნებიც გამოიტანეს. ტრადიციულმა ევროპულმა ქვეყნებმა უარი განაცხადეს ელექტრონულ მმართველობაზე, ხოლო საბერძნეთში და უკრაინაში მხოლოდ კანონპროექტზეა საუბარი.

ჩვენთან კი მიზანმიმართულად, სასწრაფო წესით და ყველა კანონის დარღვევით უნდათ აიძულონ ხალხი მიიღონ ელექტრონული საბუთები.

ვითხოვთ, ელექტრონული საბუთების ძალაში შესვლამდე ჩვენთანაც შეიქმნას კომისია სხვადასხვა კომპეტენტური ადამიანების (ადამიანის უფლებათა დამცველების, მეცნიერების, მორწმუნეების) მონაწილეობით.

უმორჩილესად გთხოვთ, ხალხის მოთხოვნის სასარგებლოდ ეკლესიის მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. პასუხს მოუთმენლად ველით“.

**მედიანიუსი**

# ჟურნალისტების აქციაზე პოლიტიკოსებიც იმყოფებოდნენ

გლდანის ციხესთან გამართულ ჟურნალისტების საპროტესტო აქციაზე პოლიტიკოსებიც იმყოფებოდნენ.

აქციაზე იყვნენ „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი სოფიო ხორგუანი და „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენელი ლაშა ჩხარტიშვილი. მათ ჟურნალისტებთან საუბრისას ფოტორეპორტიორებისათვის საპროტესტო აქციების გაგრძელების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

სოფიო ხორგუანის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია ყველამ მიიღოს მონაწილეობა სოლიდარობის აქციაში, რათა ხელისუფლებამ დაინახოს, რომ მიუხედავად აღიარებითი ჩვენებისა და დადგმული სპექტაკლებისა, საზოგადოება იბრძვის სამართლიანობისთვის. მისივე თქმით, აუცილებლად უნდა იქნას გამოხატული მხარდაჭერა უკანონოდ დაკავებული პატიმრებისთვის, რათა ხვალ ან ზეგ, თითოეული ადამიანი არ აღმოჩნდეს იგივე მდგომარეობაში.

ლაშა ჩხარტიშვილის განცხადებით კი, მიუხედავად გამოძალული აღიარებითი ჩვენებებისა, ხელისუფლებას არ უნდა დანებდნენ ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და აუცილებლად უნდა გაგრძელდეს სოლიდარობის აქციები.

მისივე თქმით, ყველამ კარგად იცის, რომ აღიარებითი ჩვენება მიიღება ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად და საჭიროა ამ აქციების პერმანენტულად გაგრძლება და უფრო გააქტიურება, რათა მხარდაჭერილი იქნან როგორც ფოტორეპორტიორები, ასევე სხვა უკანონო პატიმრები და ის ადამიანები, რომლებსაც შესაძლოა პატიმრობა ემუქრებოდეს.

**ინტერპრესნიუსი**

# გელა ნიკოლაიშვილი: აბდალაძის ჩვენება ძალიან შეუსაბამოა

ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, ჯაშუშობაში ბრალდებული გიორგი აბდალაძის აღიარებით ჩვენებაში ბევრი შეუსაბამობაა და პირადად მას ვერ გაუგია, რაში უნდა დასჭირებოდა რუსეთს რიგითი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ფოტოები, როცა კოსმოსიდან სულ მცირე ნიუანსების გადაღებაც კი შეეძლო. ნიკოლაიშვილის თქმით, თუ აბდალაძე რუსეთის სპეცსამსახურებთან 2002 წლიდან მუშაობდა, მაშინ ვერ გაუგია, რატომ გადაიღო ამ ადამიანმა აგვისტოს ომის დროს ისეთი ფოტოები, რომელმაც მსოფლიო შეძრა და დასავლეთს აქტიურობისკენ უბიძგა.

— გია აბდალაძე აღიარებით ჩვენებაში ასევე ამბობს, რომ გიორგაძის პარტიიდან დავალება ჰქონდა მიღებული ზედხედიდან მათი პარტიის აქცია გადაეღო და გადაეგზავნა, რადგან აინტერესებდათ რამდენი ხალხი მივიდოდა აქციაზე. ესეც აბსურდია! თუ საქმე ეხება სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას, მათ უკეთესი საშუალებები აქვთ მსგავსი ფოტოების გადაღების. მითუმეტეს, რომ ნებისმიერი რანგის ფოტოგრაფისგან შეეძლოთ მსგავსი ფოტოების შეძენა ისე, რომ მათთან თანამშრომლობა საჭირო არ იქნებოდა. ჩვენებაში ძალიან ბევრი შეუსაბამობა და არალოგიკური ფაქტია მოთხრობილი, — განუცხადა „მედიანიუსს“ გია ნიკოლაიშვილმა.

**მედიანიუსი**

# ჩოხოსნებმა აფხაზეთის სადროშო შექმნეს

ეკა ირემაშვილი

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად ჩოხოსან რაინდთა დასმა ტრადიციას არც წელს უღალატა და თავის რიგებში ახალი ჩოხოსნები მიიღო. მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ეროვნული გმირის დაბადების დღეზე საგანგებო ღონისძიება გაიმართა. ამ დღესთან დაკავშირებით ჩოხოსნებმა თავიანთ დასს ახალი წევრები შემატეს და აფხაზეთის სადროშო დააარსეს.

**გოგი დოლიძე, ჩოხოსან რაინდთა დასის თავმჯდომარე:**

— ქაქუცა ჩოლოყაშვილის დღეს ჩვენი დასი 2005 წლიდან აღნიშნავს, რადგან სწორედ 2005 წლის 14 ივლისს ჩამოესვენა საქართველოში საფრანგეთიდან ეროვნული გმირის ნეშტი და მთაწმინდის პანთეონში დაიკრძალა. მაშინ გადავწყვიტეთ, რომ ყოველ წელს გვეზეიმა მისი დაბადების დღე. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქართველი სამხედრო მოღვაწე და პოლკოვნიკი იყო. ის ამავე დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეც გახლდათ, ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. ქაქუცა სრულიად სამართლიანად მიიჩნევა საქართველოს ეროვნულ გმირად. ის ერთ-ერთი ცნობილი ქართული გვარის — ჩოლოყაშვილების წარმომადგენელი იყო, რომლის მატარებლებიც თავადები იყვნენ და საქართველოს სამხედრო და პოლიტიკურ ელიტას მიეკუთვნებოდნენ. ქაქუცა 21 წლის ასაკში ჯარში გაიწვიეს. მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, სადაც ოფიცრის წოდება მიიღო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ცოლად შეირთო ნინო მელვინეთუხუცესი, რის შემდეგაც საკუთარ მამულში სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ქაიხოსრო ჯარში გაიწვიეს. იგი მძიმედ დაიჭრა და თავისივე სურვილით კავკასიის ფრონტზე არიერგარდის ხელმძღვანელად გადაიყვანეს. ჩოლოყაშვილმა თავი გამოიჩინა სარაყამიშის ბრძოლაში. ციხესიმაგრე „არწივის ბუდეზე“, რომელსაც ქაქუცა იცავდა, თურქების შეტევის შემდეგ ის კვლავ დაიჭრა. ამ ბრძოლაში ჩადენილი გმირობისთვის ის ოქროს ხმლით დააჯილდოვეს. განკურნების შემდეგ ქაქუცა ჩაეწერა ახალდაარსებულ საქართველოს ცხენოსანთა რაზმში, რომელიც ნიკოლოზ ბარათოვის ხელმძღვანელობით სპარსეთში იბრძოდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და შევიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩოლოყაშვილი საქართველოს არმიის პოლკოვნიკი გახდა და მონაწილეობდა ქართული კავალერიის ჩამოყალიბებაში. სომხეთ-საქართველოს ომისა და რუსეთ-საქართველოს ომის დროს ხელმძღვანელობდა ქართულ კავალერიას. 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდეგ საქართველოს მთავრობასთან და არმიასთან ერთად დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი. როცა 1921 წელს თითქმის მთელმა მთავრობამ დატოვა საქართველო, ქაქუცა მათ არ გაჰყოლია. ის თავის თანამოაზრეებთან ერთად ქიზიყიდან ტყეში გაიჭრა და პარტიზანულ ბრძოლას შეუდგა. მათ ერთმანეთს საზეიმოდ შეჰფიცეს, რომ მედგრად იბრძოლებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. სწორედ ამ ფიცის გამო მათ შეფიცულთა რაზმი ეწოდათ. შეფიცულთა რაზმმა აჯანყება დაიწყო. პირველი შეტაკება სიღნაღთან მოხდა. ამას მოჰყვა გლეხთა აჯანყება ხევსურეთში. საბჭოთა ხელისუფლებამ ხევსურეთს წითელი არმია შეუსია და ააოხრა. პირველი პარტიზანული კამპანიის წარუმატებლობის შემდეგ ჩოლოყაშვილი ჩეჩნეთში გაიქცა. ქაქუცა საქართველოში დაბრუნდა და ბრძოლები განაახლა. ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიღუპა მისი ძმა, სიმონ ჩოლოყაშვილი. საბჭოთა ხელისუფლება კი განაგრძობდა ქაქუცას დევნას. მისი ოჯახის წევრები დააპატიმრეს. ამის მიუხედავად, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი რამდენჯერმე დაესხა თავს წითელ არმიას. პარალელურად, იგეგმებოდა აჯანყება, თუმცა ის ჩაიშალა. ქაქუცა იძულებული გახდა, თურქეთის გავლით საფრანგეთში გადახვეწილიყო. საქართველოში დარჩენილი მისი ცოლი და დედა კი დახვრიტეს. საფრანგეთში ქაქუცა ცხოვრობდა საქართველოს ემიგრირებული მთავრობის რეზიდენციაში. სხვადასხვა ომში მიღებულმა მძიმე ჭრილობებმა ემიგრაციაში იჩინა თავი. თანამებრძოლებმა ქაქუცა ოსტსაუას სანატორიუმში მოათავსეს, მაგრამ მკურნალობამ ამაოდ ჩაიარა და ის ტუბერკულოზის შედეგად გარდაიცვალა. ანდერძისამებრ, მისი ნეშტი უნდა დაეწვათ, რადგან ასე უფრო იოლად მოხერხდებოდა მისი ფერფლის საქართველოში მოხვედრა. ჩოლოყაშვილის ანდერძი არ შესრულდა და იგი დაკრძალეს პარიზის მახლობლად, სენტ-უანის სასაფლაოზე. მოგვიანებით, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი გადაასვენეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. მისი პიროვნება პოპულარული გახდა 80-იანი წლების ბოლოდან, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმასვლასთან. ქაქუცას პორტრეტი პლაკატის სახით ხშირად ჩნდებოდა იმ პერიოდის საპროტესტო აქციებზე. 6 წლის წინ, საბედნიეროდ, ჩვენი ეროვნული გმირის ნეშტი თბილისში გადმოასვენეს. სწორედ ამის შემდეგ ჩოხოსნებმა ჩავუყარეთ საფუძველი ტრადიციას, რომელიც მის საფლავზე შეკრებას უკავშირდება. ამ ტრადიციის ინიციატორია სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი. დიდი ქართველი მამულიშვილის დაბადების დღე ჩვენ მიერ წელს უკვე მეექვსედ აღინიშნება. 14 ივლისი გამორჩეულია იმითაც, რომ ამ დღეს დაბადებული არიან ვაჟა-ფშაველა და ნოდარ დუმბაძე. ჩვენ ვაჟა-ფშაველას საფლავით დავიწყეთ, ყვავილებით შევამკეთ, შემდეგ ნოდარ დუმბაძის საფლავი შევამკეთ და ამის შემდეგ შევუდექით ჩვენს საქმიანობას. ჩვენს ტრადიციულ ღონისძიებაზე ჩოხოსან რაინდთა დასის ახალი ჩოხოსნებიც ვაკურთხეთ. ეს ის ჩოხოსნები არიან, ვინც 2010 წლის 14 ივლისიდან წლევანდელი 14 ივლისის განმავლობაში შემოემატნენ ჩვენს დასს.



— ***სულ რამდენი წევრი მიიღეთ?***

— მთელი წლის განმავლობაში ჩვენ ვისაც ვღებულობთ, უკვე ქაქუცას დაბადების დღეზე ხდება მათი რაინდად კურთხევა. ჩოხოსანთა წევრები საკმაოდ ბევრნი არიან. წელს სამტრედიიდანაც იყვნენ ჩამოსულები. პატარა კონცერტიც გავმართეთ, კარგი სიმღერები და ცეკვები შევასრულეთ. ახალგაზრდული ანსამბლი იყო და გამოვაცოცხლეთ მთაწმინდა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ 12 განაცხადი გვაქვს იმ ქართველებისგან, რომლებიც იტალიაში, კერძოდ, ფლორენციაში არიან და ისინიც მივიღეთ ჩვენს დასში. ისეთი ინტერესია, მათი უგულებელყოფა არ შეიძლება. მალე ჩვენი ჟურნალი წავა იტალიაში. წელს ჩვენთვის ყველაზე ღირებული ის არის, რომ დავაარსეთ სადროშო აფხაზეთი, სადაც გაერთიანებული არიან აფხაზეთიდან წამოსული მებრძოლები, რომელსაც ხელმძღვანელობს ქაქუცას სახელობის ბატალიონის უფროსი.

**თენგიზ ლომია, ჩოხოსან რაინდთა დასის აფხაზეთის სადროშოს ხელმძღვანელი:**

— ჩოხოსან რაინდთა დასის აფხაზეთის სადროშო საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შეიქმნა. ჩვენ დავდეთ ფიცი, რომელიც საქართველოს პატრიარქმა დაგვიწერა. ილია II-ის დაწერილი ფიცი დავდეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავზე. ამ სადროშოს შესაქმნელად დიდი ხანი ვემზადებოდით. ჩვენ ყველანი ვართ აფხაზეთის შვილები, წამოსულები ჩვენი მშობლიური კუთხიდან და გვინდოდა ისეთი საქმის გაკეთება, რომლითაც ჩვენს ერსა და ჩვენს ეთნიკურ აფხაზებსაც გავახარებდით და მათთან დასაახლოებლად უფრო ახლო გზას ვიპოვიდით. ჩოხა არ არის ჩვენთვის მხოლოდ ფორმა და უბრალო ტანსაცმელი. ეს არის ქართული სულისა და ტრადიციების, იგივე ეთნიკური აფხაზების ტრადიციების ჯავშანჟილეტი. ამით ჩვენ შევძლებთ აფხაზეთის იდუნტურობის პრობლემის დანახვასა და მოგვარებას. ვფიქრობთ, რომ ეს შეიძლება უმოკლესი გზა გახდეს ერთმანეთთან მისასვლელად. ჩვენ და აფხაზებმაც, როგორც ერთი მიწის შვილებმა, უნდა მოვაგვაროთ ჩვენი საერთო პრობლემები. სწორედ ეს იყო ჩვენი სადროშოს დაარსების მთავარი მიზანი. მეორე მხრივ, ეს ჩვენთვის დიდი პატივია და დიდი ვალდებულებაა ქვეყნის წინაშე, ერის წინაშე. უბრალოდ, ჩოხის ჩაცმა არაფერს ნიშნავს. ეს არის გარკვეული წესებისა და ტრადიციების დაცვა. ამისთვის მომართულები ვართ და მზად ვართ. ფიცი, რომელიც ჩვენ დავდეთ, უბრალოდ სიტყვებად ვერ დარჩება, რადგან იმაზე მეტი დატვირთვა გააჩნია ამ სადროშოს, ვიდრე უბრალოდ ჩოხის ჩაცმა.

— ***აფხაზეთის სადროშოში რამდენი წევრი ხართ?***

— ეს ყოველივე ჯერჯერობით ჩამოვაყალიბეთ 8 კაცმა. უკვე გამოჩნდნენ ჩვენი მეგობრები, იგივე ეთნიკური აფხაზები, რომლებსაც ჩვენს სადროშოში შემოსვლის სურვილი გააჩნიათ. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, ყოველ 14 ივლისს, ქაქუცას დაბადების დღეზე მოხდეს მათი კურთხევა. ჩვენ ვერ მოვასწარით წელს საფუძვლიანად წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმოება, ამიტომ მომავალ წელს ეთნიკურ აფხაზებსაც ვიხილავთ ფიცის დადებაზე. ეს ჩოხა გახდება აფხაზეთის შვილების ერთ-ერთი სერიოზული იარაღი იმისთვის, რომ ქვეყნის ტრადიციები, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, იგივე აფხაზებისა თუ ქართველების, გადავარჩინოთ და ვიბრძოლოთ მისი შენარჩუნებისთვის, განვითარებისთვის, რომ არ დაიკარგოს ის ტრადიციები, რაც გვქონდა. ამ დიდი გლობალიზაციის პრობლემებში ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ასეთი ჩანაწერი — როგორც კი ერს უჭირს, ეგრევე ჩნდება ჩოხოსნებიო. ახლა უტრირება გავაკეთე ამ ჩანაწერის, მაგრამ ნამდვილად არის მასში სიმართლის მარცვალი და საკმაოდ სერიოზული გამონათქვამია. როცა პრობლემაა ერში, მაშინვე მრავლდებიან ჩოხოსნები. ეს იმას ნიშნავს, რომ სულისკვეთების გაღრმავების მიზნით ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

— ***რა იქნება შემდეგი წლის 14 ივლისს?***

— ჩვენ ამ სადროშოს პირველი მერცხლები ვართ. აფხაზეთის სადროშო აქამდე არ არსებობდა. პატრიარქის კურთხევა ბატონ გოგის ჰქონია, მაგრამ აქამდე ვერავინ გაუწია ორგანიზება ამ სადროშოს ჩამოყალიბებას სხვადასხვა მიზეზის გამო და ვერ ხდებოდა მისი შეკრება. წლებია ამ საკითხით დაინტერესებული ვარ, მუდმივად ვეძებ გამოსავალს, კონკრეტულ ქმედებას. ყოველ ჩვენგანს რითიც შეგვიძლია, უნდა ვემსახუროთ სამშობლოს. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, ამ ნაბიჯისთვის მოვმზადებულიყავით. სულიერად ამაღლებულ ტონზე ვართ, რადგან ეს ყველაფერი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თან, როცა ასეთი დიადი ქართველების საფლავზე ხდება ეს ყოველივე, ეს იმაზე მეტია, ვიდრე ჩოხა უბრალოდ ჩაიცვა და სადმე წახვიდე. სკურპულოზურად მოხდება ჩვენს სადროშოში წევრთა შერჩევა და მიღება. ჩვენთვის მთავარი არ არის წევრთა რაოდენობა. ჩვენთვის მთავარია სულისკვეთება ყველა იმ ადამიანისა, რომელსაც უნდა, აფხაზეთის სადროშოს წევრი გახდეს. ჩვენთვის უმთავრესია, ქართული სულისკვეთება არ ჩაცხრეს და იმ ადამიანებმა, რომლებმაც ამას ხელი მოვკიდეთ, ძალიან ღრმა ქართული ფესვების მქონე ორგანიზაცია შევქმნათ და ამით გავაღრმავოთ ურთიერთობა იგივე ეთნიკურ აფხაზებთან. ისევ ვიმეორებ, ჩვენ ერთი მიწის შვილები ვართ, დღეს ასეთი სახით ვფიქრობთ უკან დაბრუნებას. ეს არის ჩვენი ჟესტი, ჩვენ მიერ გაწვდილი ხელი და ეს არის ყველაფერი, რაც უკავშირდება ქართულ და ზოგადად აფხაზურ კულტურას, ყოველივე იმას, რასაც უნდა ემსახურებოდეს ნებისმიერი ქართველი. აფხაზეთის სადროშო სახალხო დიპლომატიის საკითხებში, შემდგომში კი სამოქალაქო საზოგადოებაში ქართული კულტურის როლის, აფხაზური კულტურის როლის გაღრმავებისა და განვითარებისთვის ერთ-ერთი ფლაგმანი იქნება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.
დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.
იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.
გახდით მონასტრის მეგობარი.
გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლი (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 8790-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

## „არმია“ და „ქუთაისი“ ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებენ

კალათბურთში საქართველოს ჩემპიონი, თასისა და სუპერთასის მფლობელი „არმია“, ახალი სეზონისთვის მზადებას 21 ივლისს დაიწყებს.

გეცოდინებათ, არმიული კლუბი საქართველოში დაგეგმილი ტურნირების გარდა, ევროჩელენჯის ბ ჯგუფში იასპარეზებს, სადაც მისი მეტოქეები „ლეიდენი“ (ჰოლანდია), „გიოტინგენი“ (გერმანია) და ევროთასის კვალიფიკაციიდან „ბეშიქთაშსა“ (თურქეთი) და „დექსია მონსის“ (ბელგია) წყვილში წაგებული იქნება.

ჯერჯერობით, არმიელთა რიგებში სიახლე ძველია — „ქუთაისის“ კაპიტანი ბუბა კვიმსაძე მათ რიგებში ითამაშებს. თუმცა, საევროპოდ ამ შემადგენლობას ბრძოლა გაუჭირდება, ამიტომაც ტულუში და მისი თანაშემწეები კალათბურთელებს უცხოეთში ეძებენ. სავარაუდოდ, მალე არმიული კლუბი რამდენიმე ლეგიონერი კალათბურთელით უნდა გაძლიერდეს.

რაც შეეხება ბრინჯაოს მედლის მფლობელ „ქუთაისს“, ისინი ევროპაში გამოსვლას არ გეგმავენ, თუმცა ახალი სეზონისთვის მზადებას ისინიც იწყებენ. გუნდის ხელმძღვანელობამ 14-კაციანი შემადგენლობა უკვე გამოაცხადა.

კვიმსაძის წასვლაზე უკვე გითხარით, მის გარდა რიონისპირულ გუნდში აღარ ითამაშებენ ვახტანგ ცაგარეიშვილი, გიორგი კვერნაძე და მამუკა ბოლქვაძე. აქედან, გასულ სეზონში მოედანზე მხოლოდ ბოლქვაძეს უხდებოდა ყოფნა და ხშირად ძირითად ხუთეულშიც. როგორც ჩანს, მისი წასვლა ახალი შევსების გამო მოხდა.

შევსება კი სერიოზულია: რიჩარდ მათიაშვილი (თსუ), დავით ბარბაქაძე (შსს) და ქუთაისის საკალათბურთო სკოლის აღზრდილები, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების წევრები — ლევან გრძელიძე და გიორგი ცირეკიძე.

## „მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავ ყველაზე ძვირადღირებულია

ავტორიტეტულმა ამერიკულმა საფინანსო-ეკონომიკურმა გამოცემა “ფორბსმა“ მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული სპორტული გუნდების ყოველწლიური სია გამოაქვეყნა.

“ფორბსის“ ანალიტიკოსთა რეიტინგის პირველ ადგილზე ინგლისური “მანჩესტერ იუნაიტედია“, რომელმაც ტოპ-კლუბების სათავეში შარშანდელი ადგილი ამჯერადაც შეინარჩუნა. ინგლისური გრანდის ღირებულება, რომელსაც ამერიკელი გლეიზერების ოჯახი ფლობს, 1,86 მილიარდ აშშ დოლარით განისაზღვრა.

მეორე ადგილზე ამერიკული ფეხბურთის წარმომადგენელი — “დალას კოვბოიზია“, რომლის ფასი 1,81 მილიარდი დოლარია, მესამე კი რეიტინგში ბეისბოლის გუნდი “ნიუ იორკ იანკიზია“ - 1,06 მილიარდით.

მეოთხე და მეხუთე პოზიციებს ამერიკული ფეხბურთის გუნდი “ვაშინგტონ რედსკინსი“ (960 მლნ) და მსოფლიო ფეხბურთის გრანდი მადრიდის “რეალი“ (900 მლნ) ინაწილებენ.

## დევშაკს მძიმე ბრალდებას უყენებენ

შოკისმომგვრელი ინფორმაცია გავრცელდა ლოს ანჯელესიდან. შაკილ ო ნილის ყოფილმა მეგობარმა რობერტ როსმა ლეგენდარული ცენტრი მკვლელობასა და ადამიანების გატაცებაში დაადანაშაულა!

როსის თქმით, ო ნილი პირადად გასცემდა მისთვის არასასურველი ადამიანების “მოშორების“ ბრძანებებს. უნდა აღინიშნოს, რომ თავად როსი ერთ-ერთი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი გახლავთ.

ერთ დროს შაკის საუკეთესო მეგობარი აცხადებს, რომ კალათბურთელი სხვადასხვა დროს მოითხოვდა მუსიკალური პროდიუსერის, კრიმინალური ავტორიტეტისა და უცნობი ქალის მოკვლას, რომელიც მისგან დაფეხმძიმდა.

ლოს ანჯელესის სასამართლოში შეტანილ განცხადებაში როსმა ისიც აღნიშნა, რომ დევშაკმა რამდენიმე მკვლელობა და აგრეთვე შეიარაღებული თავდამსხმა შეუკვეთა იმ ადამიანებზე, რომლებსაც ის ვერ ეწყობოდა.

შეგახსენებთ, რომ ადრე მუსიკალური პროდიუსერი როსი ჩიოდა იმის გამო, რომ მისი სახლიდან გაქრა ფირი, რომელზეც შაკილის სექსუალური თავგადასავლები იყო აღბეჭდილი. მაშინ როსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მის სახლში დამონტაჟებულმა უსაფრთხოების კამერამ გადაიღო მომენტი, როცა შაკი უცნობ ქალთან სექსით იყო დაკავებული.

ბუნებრივია, შაკილის ადვოკატმა ყველაფერი უარყო. მისი თქმით, ო ნილი როსს მხოლოდ იმის გამო დაუმეგობრდა, რომ ის სწორ გზაზე დაეყენებინა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ფავორიტებო, გმადლობთ, თავისუფლები ხართ!

**ბრაზილია-პარაგვაი 0:0 (0:2პ)**

**თერთმეტმეტრიანები:** 0:0 ელანო, 0:0 ბარეტო, 0:0 სილვა, 0:1 ესტიგარიბია, 0:1 სანტოსი, 0:2 რივეროსი, 0:2 ფრედი.

**ბრაზილია:** სეზარი, მაიკონი, ლუსიო, სილვა, სანტოსი, ლუკას ლეივა, რამირესი, განსო (ლუკასი 100), რობინიო, პატო (ელანო 111), ნეიმარი (ფრედი 80)

**პარაგვაი:** ვილარი, ალკარასი, ვერონი, და სილვა, ტორესი (მარეკოსი 71), ვერა (ბარეტო 63), რივეროსი, კასერესი, ესტიგარიბია, ვალდესი, ბარიოსი (პერესი 83)

**გაძევება:** ლუკას ლეივა (103), ალკარასი (103)

კოპა ამერიკაზე დრამა დატრიალდა — ტურნირი უმთავრესი ფავორიტების, არგენტინისა და ბრაზილიის გარეშე გრძელდება! თანაც რა ეტაპზე? ჩემპიონობის მაძიებლები ნახევარფინალშიც ვერ გავიდნენ. ორივე გუნდი პენალტების სერიით დაეთხოვა ტურნირს. არგენტინელებზე გუშინდელ ნომერში ვწერდით, ხოლო ის, რაც ბრაზილიელებს შეემთხვათ, უიშვიათასეთი შემთხვევაა — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა ოთხიდან ოთხი პენალტი გააფუჭეს! არადა, პენტაკამპენები ყოველთვის ამ საქმის უბადლო შემსრულებლებად ითვლებოდნენ.

ძალიან ძნელი სათქმელია, მაგრამ ბრაზილიის ეროვნული ნაკრები სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის მიმდინარე გათამაშებას სამარცხვინოდ გამოეთიშა. სხვა რა შეიძლება ეწოდოს შემთხვევას, როდესაც ბრაზილიელებმა მეოთხედფინალისტთა შორის ყველაზე მეტი გოლის გამშვებ პარაგვაის არათუ ძირითად და დამატებით ტაიმებში, თერთმეტმეტრიანების სერიაშიც კი ვერ გაუტანეს.

ამ მატჩამდე ბრაზილიას კოპა ამერიკაზე თერთმეტმეტრიანების სერიაში 6-ჯერ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. „პენტაკამპეონები“ 4-ჯერ გამარჯვებულნი გამოვიდნენ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არც ერთ შემთხვევაში ბრაზილიელებს სერიაში 3-ზე ნაკლები გოლი არ გაჰქონდათ. ეს ტრადიცია გუშინ, პარაგვაისთან გამართულ მატჩში დაირღვა, როდესაც მანო მენეზეშის შეგირდებმა 4-დან ვერც ერთი პენალტი ვერ გამოიყენეს. აქედან 3 მათგანი საერთოდ კარს ააცილეს. რაც შეეხება პარაგვაის, სასტარტო დარტყმის გაფუჭების შემდეგ, ხერარდო მარტინოს შეგირდებმა ზედიზედ 2-ჯერ გაიტანეს და მეტჯერ დარტყმა მათ არც დასჭირვებიათ.

სანამ საქმე თერთმეტმეტრიანებამდე მივიდოდა, გუნდებმა ბრაზილიელთა სრული უპირატესობით წარმართული 4 ტაიმი ჩაატარეს და ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ საქმე პენალტების სერიამდე მივიდოდა. მენეზეშის გუნდის უპირატესობა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ძირითადი დროის მე-2 ტაიმში, მაგრამ შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელის, ხუსტო ვილარის ბრწყინვალე თამაშმა ბრაზილიელებს გოლის გატანის საშუალება არ მისცა. ორ ეპიზოდში, ბარზილიელებმა ვილარის ბარიერი კი დაძლიეს, მაგრამ პარაგვაელთა კიპერი უკვე კარის ხაზზე მდგომი მცველებმა დააზღვიეს. რაც შეეხება პარაგვაის, მისმა ფეხბურთელებმა ასოც წუთში კარის მიმართულებით სულ 2-ჯერ დაარტყეს და ორივეჯერ არაზუსტად. და მაინც, ამის მიუხედავად, ხერარდო მარტინოს გუნდმა 1989 წლის შემდეგ ნახევარფინალში პირველად გასვლა მაინც მოახერხა.

**ჩილე-ვენესუელა 1:2**

0:1 ვისკარონდო (35), 1:1 სუასო (70), 1:2 ჩიჩერო (81)

**ჩილე:** ბრავო, კონტრერასი, პონსე, ხარა (პარედესი 61), ისლა, მედელი, კარმონა (ვალდივია 47), ვიდალი, ხიმენესი (მუნიოსი 84), სანჩესი, სუასო

**ვენესუელა:** ვეგა, როზალესი, პეროსო, ვისკარონდო, ჩიჩერო, გონსალესი (მორენო 90), ლუსენა, რინკონი, არანგო, მალდონადო (სეიხასი 65), ფედორი (რონდონი 60)

**გაძევება:** მედელი (83), რინკონი (90)

კოპა ამერიკაზე ფავორიტად შერაცხული გუნდების წაგება გრძელდება. ყველა მეოთხედფინალურ წყვილში ის გუნდი დამარცხდა, რომლისგანაც მოგება უფრო მოსალოდნელი იყო. უკანასკნელი მათგანი ჩილეს ნაკრები გამოდგა, რომელიც ვენესუელასთან დაპირისპირების შემდეგ გამოეთიშა ტურნირს.

სან ხუანში გამართული მატჩი ერთადერთი მეოთხედფინალური მატჩი გამოდგა, რომელშიც გუნდებმა გამარჯვებულის ბედი ძირითად დროშივე გაარკვიეს. ანგარიში ვენესუელას ნაკრებმა გახსნა — 35-ე წუთზე შეტევის მარჯვენა ფლანგზე დანიშნული ჯარიმიდან არანგოს ჩაწოდება თავური დარტყმით გოლად ვისკარონდომ აქცია.

პირველი ტაიმის უსახურად ჩატარების შემდეგ, ჩილემ ძალზე დიდი უპირატესობა შესვენების შემდეგ მოიპოვა, მაგრამ კლაუდიო ბროგის შეგირდებმა ანგარიშის გათანაბრება 70-ე წუთამდე ვერ მოახერხეს. შეხვედრის დასრულებამდე 20 წუთით ადრე, მარჯვენა ფლანგიდან ალექსის სანჩესის მიერ გაკეთებული პასის შემდეგ, ბურთი საჯარიმოში სუასომ მიიღო, რომელმაც ახლო მანძილიდან დარტყმით აიღო ვეგას კარი.

ჩილელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. 81-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან შესრულებული მორიგი ჯარიმის შემდეგ, გოლი უკვე ჩიჩერომ გაიტანა და ვენესუელა ისტორიაში პირველად გავიდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ნახევარფინალში.

ჰო, ჩილესა და ვენესუელას შორის გამართული მატჩი წინა ორ მეოთხედფინალს იმით ჰგავდა, რომ ამჯერადაც, მსაჯმა ორივე გუნდიდან გააგდო თითო ფეხბურთელი. 83-ე წუთზე, ხელით განზრახ თამაშის გამო, მე-2 ყვითელი ბარათი მიიღო მედელმა, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე, უხეში თამაში პირდაპირ წითელი ბარათის მიღებად დაუჯდა რინკონს.

# შვიდკაცა ევროპაში მეექვსეა

საქართველოს მორაგბეთა 7-კაცა ნაკრებმა, ევროპის გრან პრის დასკვნითი ეტაპი მე-6 ადგილზე დაასრულა და სრული, ოთხეტაპიანი სერიაც მე-6 ადგილით დაასრულეს.

კახა ალანიას შეგირდებმა რუმინეთში დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენეს. ტურნირის სასტარტო შეხვედრაში მათ იტალიას 3 უპასუხო ლელო გაუტანეს, ერთი კვირის წინათ განცდილი მარცხისათვის რევანში აიღეს — 19:0. კარგ დასაწყისს კარგი გაგრძელება მოჰყვა და ქართველმა მორაგბეებმა მათთვის უხერხულ მეტოქესთან, უკრაინასთან 12:7 იმარჯვეს, მერე კი, მასპინძელ რუმინეთსაც იგივე ბედი დამართეს — 21:12. დღის ბოლო შეხვედრაში საქართველო საფრანგეთს კი ებრძოდა, მაგრამ მისი გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა, 2 ლელო-გარდასახვის წილ სამ-სამი მიიღო და 14:21 დამარცხდა.

მეორე დღეს, ჯგუფის ბოლო ჯახში იყო შანსი, რომ საქართველოს ნაკრებს თასის ნახევარფინალში გაეღწია, მაგრამ პორტუგალიასთან 0:21 მარცხის შემდეგ, ეს შანსი მიზერული გახდა. როგორც მოსალოდნელი იყო, საფრანგეთი უკრაინასთან არათუ დამარცხდა, 14:5 იმარჯვა და ქართველები მხოლოდ მე-5 ადგილისთვის საომრად გაწირა.საომრად იმიტომ, რომ ქართველებს წინ უელსისა და ინგლისის ძალიან ძლიერი გუნდები ელოდა. ეს იმის ბრალი იყო, რომ პარალელურად, მეორე ჯგუფში ერთგვარი სენსაცია დაფიქსირდა. ინგლისმა, რომელსაც გრან პრის მოსაგებად მე-4 ადგილის დაკავებაც აძლევდა ხელს, ჯგუფში მხოლოდ მე-3 საფეხური დაიკავა და

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# საქართველომ ესტონეთის დაამარცხა და ჯგუფში პირველობა გაინაღდა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა დრამატულ ბრძოლაში, 88:87 დაამარცხა ესტონელი თანატოლები და ერთი ტურით ადრე ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა. ესტონეთი საქართველოს დარად საწყის სამ მატჩში წაუგებელი იყო, თუმცა მეოთხე ტურში ქართველებმა ბალტიელებს



დამარცხება აგემეს და ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. ჩვენი ნაკრები პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში რუმინეთს ხვდება და რომც წააგოს, ესტონეთთან პირადი მოგების წყალობით მაინც პირველ ადგილზე დარჩება.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ძალიან დაძაბული და დრამატული გამოდგა. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები თამაშის დასრულებამდე 4:51 წუთით ადრე 10 ქულით (81:71) იგებდა, მაგრამ ესტონელებმა გათანაბრება და წინ გასვლაც კი მოახერხეს. უფრო სწორად, ბალტიელთა უკანახაზელმა, რეინ ვეიდემანმა აკეთა სასწაულები. ამ კალათბურთელმა ბოლო 4:30 წუთში 16 ქულა ჩაგვიგდო. მის გარდა ესტონელთაგან აღნიშნულ პერიოდში ქულა არავის მოუხვეჭია.

ვიედმანის გააქტიურებას ის დაერთო, რომ დასრულებამდე 02:45 წუთით ადრე 5 პერსონალურის გამო მოედნიდან ჩვენი გუნდის ლიდერი თორნიკე შენგელია გავარდა. მან მეხუთე ჯარიმა შეტევაში მიიღო, როცა ქართველები 82:78 იგებდნენ. ვიედმანმა კიდევ უფრო გაილაღა და მას ჩვენები ჯარიმებით თუღა აჩერებდნენ, თუმცა ესტონელი სროლებს ზუსტად ასრულებდა და ფინალამდე 01:47 წუთით ადრე, ანგარიში გათანაბრდა — 83:83.

ამ მომენტში უმნიშვნელოვანები სამქულიანი ჩააგდო ბექა ჩიკვილაძემ და ქართველები 86:83 დაწინაურდნენ. თუმცა ვიედმანმა იმდენი ქნა, რომ დასრულებამდე 12 წამით ადრე საჯარიმო სროლებით ესტონეთი 87:86 დააწინაურა. ქართველებს ბოლო შეტევა დარჩათ, რომელიც ზუსტი ორქულიანი სროლით დააგვირგვინა მერაბ ბოქოლიშვილმა და საქართველოს გაამარჯვებინა.

ჯგუფის სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: რუმინეთი — მაკედონია 49:64, პოლონეთი — შვეიცარია 86:75.

როგორც უკვე გითხარით, საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა. რუმინეთთან შეხვედრას პრაქტიკული მნიშვნელობა დაეკარგა — უსტიაშვილის გუნდი წაგების შემთხვევაშიც პირველ ადგილზე რჩება. ამ ეტაპის დასრულების შემდეგ მომდევნო ჯგუფი შეიქმნება, რომელსაც ა და ბ ჯგუფების 2-2 საუკეთესო გუნდი შეავსებს. საქართველო მეორე ჯგუფში პრემიალური, ოქროს ქულით შევა, რადგან ჩვენი ჯგუფიდან მეორეზე გასულ გუნდთან (ესტონეთი ან პოლონეთი) პირადი მოგება ექნება. ჩვენი მომავალი მეტოქეების ვინაობა ბოლო ტურის შემდეგ გაირკვევა. მომდევნო ეტაპის საგზურისთვის ბ ჯგუფში დანია, ბულგარეთი და სლოვაკეთი იბრძვიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 4 | 4 | 0333:3058 |
| 2.ესტონეთი | 4 | 3 | 1358:2787 |
| 3.პოლონეთი | 4 | 2 | 2291:2926 |
| 4.რუმინეთი | 4 | 2 | 2222:2586 |
| 5.მაკედონია | 4 | 1 | 3286:3055 |
| 6.შვეიცარია | 4 | 0 | 4260:3124 |

## შედეგები

**ფეხბურთი**

**კოპა ამერიკა**

ბრაზილია-პარაგვაი 0:0 ... (0:2პ)
ჩილე-ვენესუელა ... 1:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-მიუნხენ 1860 ... 3:1
ჰანზა-პადერბორნი ... 1:2
კარლსრუე-დუისბურგი ... 3:2
*კარლსრუეს პირველი გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა*

**რუსეთი. თასი**

ლუჩ ენერგია-კრ.სოვეტოვი ... 1:0(დდ)
ენისეი-ლოკომოტივი(მ) ... 0:2
მეტალურგი კუზბასი-ამკარი ... 0:1
ურალი-რუბინი ... 0:0(5:6პ)
სპარტაკი-ისტრა ... 1:0
მეტალურგი ოსკოლი-ტომი ... 0:1
მორდოვია-დინამო(მ) ... 0:5
ხიმკი-ზენირი ... 2:2
*ხიმკის პირველი გოლი გიორგი ნავალოვსკიმ გაიტანა*
შინიკი-ვოლგა(ნნ) ... 0:1
*ვოლგელთა გოლი ლაშა სალუქვაძემ გაიტანა*
ვოლგა(ულ)-ანჟი ... 0:3
ვოლგარი-ცსკა ... 1:0
დინამო(ბრ)-ყუბანი ... 3:1(დდ)
ჟემჩუჟინა-როსტოვი ... 1:2
ტორპედო(ვლ)-ნალჩიკი ... 3:0
ტერეკი-ნიჟნი ნოვგოროდი ... 2:0
ფაკელი-კრასნოდარი ... 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ავსტრია ... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ქსამაქსი-ლუცერნი ... 0:3
სერვეტი-თუნი ... 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კარპატი-ჩერნომორეცი ... 1:1
ობოლონი-ვორსკლა ... 0:1
არსენალი-ილიჩევეცი ... 0:0

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-სილკებორგი ... 1:2
სონდერიისკე-კოპენჰაგენი ... 0:2
ჰორსენსი-კიოგე ... 3:0
ბრონდბიუ-ოლბორგი ... 2:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გაისი-იორებრო ... 4:1
გეფლე-აიკი ... 0:3
ჰალმშტადი-ელფსბორგი ... 1:2

**ნორვეგია. ტოპლიგა**

სონგდალი-სარპსბროგი ... 1:0
ვიკინგი-ალესუნდი ... 1:0
მიოლდე-ჰაუგესუნდი ... 3:1
სტაბეკი-რუსენბორგი ... 2:1
სტრომგოდსეტი-სტარტი ... 3:0
ტრომსო-ვალერენგა ... 4:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-იარო ... 1:1
როვანიემი-ჰონკა ... 1:2
ტპს-მარიეჰამნი ... 2:0

**აშშ. მლს**

ნიუ ინგლენდი-ფილადელფია ... 0:3

**ბრაზილია. სერია ა**

ინტერნასიონალი-სან პაულუ ... 0:3
კრუზეირო-ბაია ... 2:1
სეარა-ამერიკა ... 4:0

**წყალბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები**

უნგრეთი-ჩერნოგორია ... 11:10
ესპანეთი-ყაზახეთი ... 18:5
ავსტრალია-რუმინეთი ... 9:8
ხორვატია-ბრაზილია ... 14:5
კანადა-იაპონია ... 11:5

**ქალები**

ჩინეთი-ს.აფრიკა ... 22:5

**ფრენბურთი**

**ევროლიგა. ოთხთა ფინალი**

**კაცები**

სლოვენია-რუმინეთი ... 3:0
სლოვაკეთი-ესპანეთი ... 3:2

**ჩოგბურთი**

**ატპ. ბასტადი. თიხა**

**ფინალი**

სოდერლინგი-ფერერი ... 6:2;6:2

**ატპ. შტუტგარტი. თიხა**

**ფინალი**

ფერერო-ანდუჰარი ... 6:4;6:0

**ვტა. ბად გაშტეინი. თიხა**

**ფინალი**

მარტინეს ... სანჩესი-მაირი 6:0;7:5

**ვტა. პალერმო. თიხა**

**ფინალი**

ჰერცოგი-მედინა გარიგესი ... 3:6;2:6

# პარლამენტში ახალი ფრაქცია შეიქმნა

ნანა მიშელაშვილი

პარლამენტში ახალი ოპოზიციური ფრაქცია შეიქმნა. ამ ფრაქციას „ერთობა სამართლიანობისათვის“ ერქმევა. ახალ ფრაქციაში ერთმანეთთან პოლიტიკურად განსხვავებული ადამიანები შედიან. ახალი ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილია.

ახალი ფრაქციის შემადგენლობაში არიან: ჯონდი ბაღათურია, პეტრე მამრაძე, კარლო კოპალიანი, თამაზ დიასამიძე და დიმიტრი ლორთქიფანიძე. ახალ ოპოზიციურ ფრაქციას როტაციის წესით 5 თვე გიორგი ცაგარეიშვილი უხელმძღვანელებს, 5 თვის შემდეგ კი თავმჯდომარის პოსტს დიმიტრი ლორთქიფანიძე დაიკავებს. დიმიტრი ლორთქიფანიძე ამჯერად ფრაქციის მდივანი იქნება, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე — კარლო კოპალიანი.

გიორგი ცაგარეიშვილი არ მალავს, რომ ახალი ფრაქციის შექმნაზე კონსულტაციები კარგა ხანია მიმდინარეობდა.

— ჩვენ აქ შეგვყარა სამართლიანობის დამკვიდრების სურვილმა. ქართველ საზოგადოებას აკლია სამართლიანობის განცდა და ის სწრაფვა, რომელიც ნებისმიერი ჩვენგანის გულსა და სულში დევს. ჩვენ გვინდა, ეს ყველაფერი შევანივთოთ, ვიბრძოლოთ სამართლიანობის დამკვიდრებისთვის, რაც ასე აკლია საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს, — აღნიშნა ახალი ფრაქციის პრეზენტაციაზე გიორგი ცაგარეიშვილმა. ახალ ფრაქციას სპიკერატში თანამდებობის დაკავების სურვილი აქვს. ეს სურვილი ღიად გაცხადდა პირველივე ბრიფინგზე. ფრაქციას ვიცე-სპიკერის პოსტზე ჯონდი ბაღათურიას კანდიდატურა ჰყავს წარდგენილი. ამდენად, ჯონდი ბაღათურიას აუხდენელი ოცნება ჯერჯერობით ნაწილობრივ, მაგრამ მაინც ახდა.

ბაღათურია ფრაქციის შექმნას თითქმის 3 წლის განმავლობაში ცდილობდა, თუმცა, ფრაქციისთვის საჭირო 6 დეპუტატს ვერ პოულობდა. ამჯერად, ბაღათურიას ოცნება ასრულდა, თანაც ისე, რომ არა მარტო ფრაქცია შეიქმნა, არამედ, ვიცე-სპიკერად მისი კანდიდატურა დადგა.

მიიღებს თუ არა ბაღათურია ვიცე-სპიკერის სავარძელს?

ამ შეკითხვაზე პასუხს პარლამენტის რეგლამენტი გასცემს. ბაღათურიას ვიცე-სპიკერობა, შესაძლოა, კითხვის ქვეშ დადგეს. არადა, ვიცე-სპიკერის სავარძელი საკმაოდ მომხიბვლელია, რადგან ვიცე-სპიკერი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს. კერძოდ, ვიცე-სპიკერს აქვს სამუშაო კაბინეტი, დაახლოებით 3400 ლარი ხელფასი, ჰყავს მდივანი, სპეციალისტი და თანაშემწე. ამასთან, ვიცე-სპიკერებს ემსახურებათ „პაჯეროს“ მარკის ჯიპები 600 ლიტრი უფასო საწვავითა და გარკვეული ლიმიტის უფასო სატელეფონო კავშირი. პოლიტიკური დებატებისას კი ვიცე-სპიკერებს 15-წუთიანი გამოსვლის უფლება აქვთ.

ბაღათურიას აქამდე მეხუთე მიკროფონთან ადგილი ჰქონდა „დაბრონილი“. 3 წლის მანძილზე ის ამ მიკროფონიდან გამოდიოდა. ბაღათურიას განცხადებების გასაკეთებლად ახლაც 2 წუთი ექნება, სამაგიეროდ, თუ ვიცე-სპიკერი გახდა, იმ შემთხვევაში პოლიტიკური



დებატების დროს გამოსვლის უფლება ექნება.

ბაღათურიას ვიცე-სპიკერად გახდომაში შესაძლოა ხელი შეეშალოს. „ქართული დასის“ ლიდერი შესაძლოა ვიცე-სპიკერის პოსტის გარეშე დარჩეს. პარლამენტის რეგლამენტის 115-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის არა უმეტეს 3 კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახულ იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც გაერთიანებული არ არიან უმრავლესობაში და შექმნილი აქვთ საპარლამენტო ფრაქცია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მოწვევის პარლამენტის შეკრებისას პაატა დავითაია გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო სიით შევიდა პარლამენტში და ფრაქციის კვოტით გახდა ვიცე-სპიკერი. ამ დროს გაერთიანებული ოპოზიცია უკვე დაშლილი იყო. პაატა დავითაიას ვიცე-სპიკერობას მაშინ საპარლამენტო კულუარებში პოლიტიკურ შეთანხმებას უკავშირებდნენ. გაერთიანებული ოპოზიციის სიით შევიდა ჯონდი ბაღათურია. გაერთიანებულ ოპოზიციას, როგორც ბარიერგადალახულ საარჩევნო სუბიექტს, ერთი ვიცე-სპიკერის პოსტი უკვე აქვს. ამდენად, მისცემენ თუ არა ვიცე-სპიკერის პოსტს ბაღათურიას, ეს კითხვის ქვეშ დგას.

რაც შეეხება ფრაქციის ახალ თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილს, მართალია, მას რამდენიმე თვის წინ ბაღათურიასთან მაინცდამაინც თბილი დამოკიდებულება არ ჰქონდა, ისინი ერთმანეთს თითქმის არც კი ეკონტაქტებოდნენ, მაგრამ ფრაქციის შექმნის სურვილმა ისინი არა მარტო დაამეგობრა, არამედ, ერთ ფრაქციაშიც გააწევრიანა.

ბრიფინგზე ცაგარეიშვილმა საზოგადოებას ამცნო, რომ „ერთ სულ და ერთ ხორც“ იქნებიან ამ მოწვევის პარლამენტის ვადის ამოწურვამდე. რამდენად უწერია ამ სურვილს აღსრულება, ეს ფრაქციული თანაცხოვრებისას გამოჩნდება. რამ დააჩქარა ახალი ფრაქციის შექმნა? ახალი ფრაქციის წევრები ამბობენ, რომ ფრაქციის შექმნა 26 მაისის და ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა. ცაგარეიშვილის თქმით, ახალი ფრაქცია იქნება მკვეთრად ოპოზიციურად განწყობილი საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან.

ცაგარეიშვილმა აქვე დასძინა, რომ მათი პოლიტიკური გაერთიანება ერთობაზეა დაფუძნებული, რომელიც პარლამენტში უმცირესობას არ შეუერთდება და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ხაზს გაატარებს.

— ჩვენ ძალიან მაღლა ავწევთ პოლიტიკური პასუხისმგებლობის თამასას პარლამენტში. ერთს გპირდებით, რომ მოსვენებას არ მივცემთ ნაციონალურ მოძრაობას არც პარლამენტის შიგნით და არც მის ფარგლებს გარეთ, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა. ფრაქცია პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტში უკვე დარეგისტრირდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძემ ფრაქცია „ძლიერი საქართველო“ დატოვა, რომლის თავმჯდომარე გია თორთლაძეა.

— რატომ მიიღო დიმიტრი ლორთქიფანიძემ თორთლაძის ფრაქციიდან წასვლის გადაწყვეტილება? ამ შეკითხვაზე ჯონდი ბაღათურიამ მოსწრებულად იხუმრა: ოპოზიციაში ყოფნა უნდა და ამიტომ.

რის გაკეთებას აპირებს ახალი ფრაქცია?

— ჩვენ ვაპირებთ იმ ბერკეტის ამოქმედებას, რომელიც გულისხმობს ყველა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის გამოძახებას პარლამენტში და მათთან ყველა იმ მწვავე საკითხთან დაკავშირებით შეკითხვების დასმას საჯაროდ და ღიად, რასაც ჩვენი ფრაქცია აუცილებლად დაგეგმავს, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ. დეპუტატი ამბობს, რომ ერთ-ერთი პირველი, ვისაც ფრაქციაში დაიბარებენ, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები იქნებიან.

— მზად ვართ, რომ ყოველგვარი შევებულების გარეშე უკვე დღევანდელი დღიდან აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩავერთოთ. არ მივცეთ დაწყნარებისა და მონოტონურ რეჟიმში პოლიტიკის წარმართვის საშუალება იმ ძალებს, რომელიც პარლამენტის უმრავლესობას წარმოადგენს, — აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

დეპუტატი ირწმუნება, რომ პარლამენტში მესამე ძალა იქნება, რომელიც აქტიურად გამოიყენებს ყველა ბერკეტს.

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ ფორმირებას, პარლამენტში უმცირესობის რღვევა არ მოჰყვება, „ერთობა სამართლიანობისათვის“ უმცირესობის შემადგენლობაში არ შევა.

კიდევ ერთი, 26 მაისის მოვლენების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს ახალი ფრაქცია პარლამენტის ბიუროს პირველსავე სხდომაზე მიმართავს. დეპუტატის თქმით, აღნიშნულ საკითხზე 26 მაისის მოვლენების საგამოძიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით 30 დეპუტატის ხელმოწერა ვერ შეგროვდა, ხოლო ფრაქციას აქვს უფლებამოსილება, კომისიის შექმნის შესახებ მოთხოვნა წარადგინოს, თუმცა, მისი ჩამოყალიბების მიზანშეწონილობას პარლამენტმა კენჭი უნდა უყაროს.

— ჩვენ გვინდა, 26 მაისის მოვლენების გამოძიება სამართლებრივ ჭრილში წავიყვანოთ, შესაბამისად, ფრაქციის სახელით მისი შექმნის საკითხს დავსვამთ, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

ბაღათურიამ უკვე იცის, თუ რას გააკეთებს ახალ თანამდებობაზე, ვიცე-სპიკერად არჩევის შემთხვევაში. ბაღათურიას თავისი ტრადიციული „თემები“ აქვს, რომლის განხორციელებასაც პარლამენტში მოითხოვს. ესენია: ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები, ფინანსური ამნისტია, რაც დაგროვილი კომუნალური დავალიანებების ჩამოწერას გულისხმობს და პატიმრების მასშტაბური ამნისტია, შეკრებითობის პრინციპის გაუქმება და სასამართლო რეფორმა.

ფრაქციის წევრმა კარლო კოპალიანმა ბრიფინგზე აღნიშნა, რომ საპარლამენტო ფრაქცია ყოველგვარი პარტიული ვალდებულების გარეშე, ნებაყოფლობით არის შექმნილი.

— პარლამენტში შეიქმნა ისეთი ფრაქცია, ისეთი ძალა, ისეთი ოპოზიცია, როგორიც ამდენ ხანს ხელისუფლებას ჰყავდა პარლამენტს გარეთ, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა. ჰქონდა თუ არა კონსულტაციები ახალ ფრაქციას მმართველ პარტიასთან? ჟურნალისტის მიერ დასმულ ამ შეკითხვას პასუხი გიორგი ცაგარეიშვილმა გასცა.

— მე მგონი, ეს ცოტა უცნაური კითხვაა. ჩვენ რომ ნაციონალური მოძრაობასთან ამ დონის ურთიერთობები გვდომებოდა, მაშინ ზოგიერთი დეპუტატი ისევ ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის წევრი იქნებოდა, ზოგიერთი სად იქნებოდა, კაცმა არ იცის. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი პოლიტიკური ფრაქცია, რომელიც ერთ უზენაეს ინტერესს ემსახურება. ეს არის — საქართველოს გამოყვანა ამ კატასტროფული ვითარებიდან, რომელშიც ნაციონალურმა მოძრაობამ ქვეყანა ჩააგდო, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა. ახალ ფრაქციის შექმნას უმცირესობის წევრები გუშინ გამოეხმაურნენ. ქრისტიან-დემოკრატი ლევან ვეფხვაძე ზურაბ ნოღაიდელის, ირაკლი ალასანიასა და ნინო ბურჯანაძის ერთ საარჩევნო სუბიექტად ჩამოყალიბების პერსპექტივას მიესალმება. ჟურნალისტებთან საუბარში ვეფხვაძემ განაცხადა, რომ ქრისტიან-დემოკრატები ნებისმიერი პოლიტიკური პროცესის მომხრე არიან, განსაკუთრებით ისეთის, რომელიც პოლიტიკური ძალების გამსხვილებას ემსახურება.

მისი თქმით, ფრაქცია ნიშნავს პოლიტიკური ძალების გარკვეულ კავშირს ან წარსულში, ან აწმყოში, ან მომავალში.

— იმედი მაქვს, რომ ამ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ახალ ფრაქციაში არიან, ექნებათ პოლიტიკური რესურსი, გამსხვილდნენ და საარჩევნო სუბიექტად ჩამოყალიბდნენ, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

„ერთობა სამართლიანობისათვის“ რამდენიმე პოლიტიკური ძალაა გაერთიანებული. კერძოდ, ფრაქციის შემადგენლობაში არიან „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, ზურაბ ნოღაიდელის პარტიის წევრი პეტრე მამრაძე, „სახალხო კრების“ გამგეობის წევრი კარლო კოპალიანი, უპარტიო თამაზ დიასამიძე, პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილი და ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე.

# შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი იწყება

ეკა ირემაშვილი

19-დან 24 ივლისის ჩათვლით ბათუმი რიგით მეხუთე შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალს უმასპინძლებს. ბათუმში მეხუთე შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროა, ხოლო გენერალური სპონსორი — საქართველოს ბანკი. ფესტივალის მასპინძელია შერატონ ბათუმი, ხოლო ფესტივალის ორგანიზატორი — ტრადიციულად, კომპანია „ისთერნ პრომოუშენი“. წელს ფესტივალი 6 დღის განმავლობაში გაგრძელდება. 4 სცენა, 21 ბენდი, 150-მდე მუსიკოსი სხვადასხვა ქვეყნიდან, 37 შოუ და 11 ქვეყანა — ასეთია ბათუმში დაგეგმილი საიუბილეო შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის პროგრამა.

წლევანდელ ფესტივალს ესტუმრებიან ჯაზის ნამდვილი ვარსკვლავები — სთენლი ჯორდანი, ვირტუოზი გიტარისტი, თავის ტრიოსთან ერთად. ლეგენდარული ჯგუფი „იელოუჯექეთსი“, რომელიც წელს თავის მსოფლიო ტურით აღნიშნავს დაარსების საიუბილეო 30 წლისთავს. საქართველოში პირველად იქნება წარმოდგენილი გოსპელის სტილი და მას ბათუმში ლონდონ ქომუნითი გოსპელის გუნდი წარმოადგენს. ბათუმში ჩამოვა პოპის მეგა-ვარსკვლავი მეისი გრეი, ორი გრემისა და ორი ემტივის მუსიკალური ჯილდოს მფლობელი. სპეციალურად შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალისთვის საქართველოს ესტუმრება დიჯეი ლოჯიქი. ის სამი დღის განმავლობაში მოაწყობს ჯემსეიშენებს. მენ ინ ბრასი კი სამი დღის განმავლობაში, დღეში 5-ჯერ კონცერტებს ბათუმის ქუჩებში გამართავს. კონცერტები ჩატარდება ევროპის მოედანზე, პიაცაზე და ძველ ბულვარში (კოლონადებთან). წელს პირველად, ფასიანი კონცერტების გარდა, ჩატარდება უფასო კონცერტებიც, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსები გამართავენ. საფესტივალო დღეებში იქნება სპეციალური ადგილები, სადაც გაიყიდება სხვადასხვა სუვენირები ფესტივალის ლოგოთი. შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალზე დასასწრები ბილეთების ფასი 40-დან 90 ლარამდეა.

რიგით მეხუთე საიუბილეო ჯაზ-ფესტივალამდე საქართველოს კუტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ვიქტორინაში გამარჯვებულები დაასაჩუქრა. 2010 წლის შავი ზღვის ფესტივალზე ჩატარებული ვიქტორინის სწორი პასუხის ავტორებს სამინისტრომ საჩუქრად 2011 წლის ჯაზ-ფესტივალის სრული პაკეტი გადასცა. გამარჯვებულებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „არტ-კაფეში“ თავად მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ მიულოცა. ორი აბონემენტის მფლობელები ირაკლი მარუაშვილი და დავით ისაკაძე გახდნენ. გასულ წელს შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით ერთ-ერთი ჯემ სეიშენის წინ ორი შეკითხვა დაისვა, სწორი პასუხის ავტორებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან საჩუქრად 2011 წლის ბათუმის ჯაზ-ფესტივალის სრული პაკეტი გადაეცათ.

— გასულ წელს „ბლექ სი ჯაზ ფესტივალზე“ ჩატარდა ვიქტორინა, სადაც დაისვა შეკითხვები მუსიკის ისტორიაზე. კულტურის სამინისტრომ გამარჯვებულებს გადასცა წლევანდელი, რიგით მეხუთე ჯაზ-ფესტივალის სრული პაკეტი. გამარჯვებული კი ორი ახალგაზრდაა, რაც ძალიან მახარებს. მსგავსი ვიქტორინა წლევანდელ ჯაზ-ფესტივალზეც გაიმართება, ამიტომ ყველას მოვუწოდებ, მიიღოს მასში მონაწილეობა და მოიგოს მომავალი წლის ჯაზ-ფესტივალის სრული პაკეტი, — განაცხადა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის პირველ 3 დღეს ჯაზის მოყვარულებს კონცერტებზე დასწრების საშუალება უფასოდ ექნებათ, ხოლო ბოლო 3 დღის განმავლობაში უკვე ბილეთები გაიყიდება. როგორც ჯაზ-ფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ივლისის 6 დღე ბათუმს ნამდვილი ჯაზისა და მუსიკის ქალაქად აქცევს.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ავადმყოფობის დროებითი შესუსტება; 2. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 4. აეროპორტი ტოკიოში; 5. კრემისგულიანი ნამცხვარი; 9. გემების სადგომი ნავსადგურში; 10. შუამავალი ბირჟაზე; 14. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. მასმედიის ერთ-ერთი საშუალება; 16. მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული ფრინველი; 19. თორმეტი თანავარსკვლავედის საერთო სახელწოდება; 20. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 21. გამოსაკითხი ფურცელი.

**თარაზულად:** 6. ნავსადგური ყირიმში; 7. ძველი დროის დამახასიათებელი ნიშნები; 8. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 11. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 12. ფრანგი მხატვრის ჟან ოგიუსტ დომენიკის ფსევდონიმი; 13. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 17. მათემატიკის ნაწილი; 18. ჩაის დეგუსტატორი; 22. ნახევარკუნძული აშშ-ში; 23. საავტომობილო საბურავების ერთ-ერთი გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 24. რთული, სადაო საკითხის სწორი დასკვნისთვის მოწვეული სპეციალისტი; 25. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. მარაბუ; 7. ტალავერი; 8. ეკრანი; 10. დიაცი; 11. ვისკონსინი; 13. პანსიონი; 16. აქლემი; 19. აკვედუკი; 20. პირამიდა.

**შვეულად:** 1. მარკეტი; 2. ებანი; 3. საბაიონი; 4. ავენიდა; 5. თინეიჯერი; 9. მასონი; 12. ექსცესი; 14. ადეპტი; 15. ინდი; 17. მარკა; 18. მალა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ტარა; 2. მარკ; 3. მაზარა; 4. კამელია; 5. სია; 6. რომა; 7. ტიფი; 8. მარკიზა; 9. ტიარა; 10. ვენერა; 11. ფარი; 12. ენიო; 13. იფი; 14. ასტარტე; 15. ფშანი; 16. იმამი; 17. მანავი; 18. ან; 19. ნარი; 20. არაქისი; 21. მასრა; 22. აგრაფი; 23. ანგინა; 24. აერაცია; 25. სკივრი; 26. ტრიო; 27. პაროდია; 28. რაკეტა; 29. რა.

**სურათებზე:** კიმ კარდიშიანი; კრისტიან ვიერი.

## წონაში დაკლების ჩა შანსი გაქვთ?




1. რეგულარულად თუ ვარჯიშობთ?
2. თუ იცით, რამდენ კალორიას შეიცავს თქვენი რაციონი?
3. რეგულარულად იწონებით?
4. მუდმივად თუ გაქვთ შინ დიეტური პროდუქტები?
5. კარგად თუ გრძნობთ თავს კვების ამჟამინდელი რეჟიმის პირობებში?
6. თუ შეგიძლიათ, თქვათ უარი ტკბილეულზე?
7. თუ ოცნებობთ დროდადრო საყვარელ კერძზე?
8. თუ შეგიძლიათ, სუფრიდან მშიერი წამოდგეთ?
9. შეგიძლიათ თუ არა, თავი შეიკავოთ საჭმლისაგან, როდესაც მშიერი არ ხართ და გთხოვენ, რაიმე გასინჯოთ?
10. დღის განმავლობაში ხშირად იკვებებით თუ არა?

**პასუხები** *დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

**0-3 ქულა:** წონაში დაკლება თქვენთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს და, საერთოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ არც გსურთ ეს.

**4-6 ქულა:** თუ უკეთ გააკონტროლებთ კვებას და რეგულარულად ივარჯიშებთ, მალე გახდებით.

**7-10 ქულა:** ძლიერი ნებისყოფის წყალობით სწრაფად დაიკლებთ ზედმეტ კილოგრამებს.

## ჯენიფერ ლოპესი ქმარს ეყრება


AFP

ცნობილი ამერიკელი მომღერალი და ვარსკვლავი ჯენიფერ ლოპესი ქმარს, მომღერალ მარკ ენტონის ეყრება.

როგორც წყვილის ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, შვიდი წლის განმავლობაში ერთად ცხოვრების შემდეგ ეს გადაწყვეტილება მათთვის ადვილი მისაღები არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ყველა საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთთან შეთანხმება შეძლეს.

ცოლ-ქმარს 2008 წელს ტყუპები შეეძინა. მათ საზოგადოებას სთხოვეს, მათი პირადი ცხოვრების უფლებისათვის პატივი ეცათ.

ჯენიფერ ლოპესისათვის ეს განქორწინება რიგით მესამე იქნება, მარკ ენტონისთვის — მეორე. ლოპესი 41 წლისაა, მარკ ენტონი კი — 42-ის.

ჯენიფერ ლოპესი მარკ ენტონის 2003 წელს შეხვდა, მსახიობ ბენ ეფლეკთან განშორების შემდეგ. მათ 2004 წელს იქორწინეს, მარკ ენტონისა და მისი პირველი ცოლის განქორწინებიდან ერთი კვირის შემდეგ.

ლოპესმა და ენტონიმ ერთად მიიღეს მონაწილეობა 2005 წელს ეკრანებზე გამოსულ ფილმში „მომღერალი", რომელიც პოპულარული პუერტორიკოელი მომღერლის, ჰექტორ ლავოს ცხოვრებას ეძღვნება.

მიმდინარე წლის იანვარში ჯენიფერ ლოპესი აშშ-ში პოპულარული შოუს, „ემერიქენ აიდოლის" ჟიურის შემადგენლობაში შევიდა.

მიმდინარე წლის აპრილში ცოლ-ქმარმა გამოაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებენ სატელევიზიო შოუში, სახელწოდებით „ქვივა ზ ჩუზენ", რომლის ხელმძღვანელიც „ემერიქენ აიდოლის" ავტორი საიმონ ფულერი უნდა ყოფილიყო.

გ.თ.

## ფუკუსიმას რაიონიდან მსხვილფეხა პირუტყვის გავრცელებას კრძალავენ


REUTERS

იაპონიის მთავრობას ფუკუსიმას რაიონიდან მსხვილფეხა პირუტყვის პროდუქციის გავრცელების აკრძალვა აქვს გადაწყვეტილი.

ეს გადაწყვეტილება მთავრობამ მას შემდეგ მიიღო, რაც ცნობილი გახდა, რომ რადიოაქტიური ცეზიუმით დაბინძურებული 136 ძროხა გაიყიდა და მათი ხორცი მოსახლეობამ მოიხმარა. მინისტრთა კაბინეტმა რადიაციით დაბინძურებული რაიონიდან ნებისმიერი პროდუქტის გავრცელების აკრძალვა გადაწყვიტა.

იაპონიის ჯანდაცვის მინისტრი კოეი ოცუკას თქმით, შესაძლებელია, ძროხის ხორცის გავრცელების აკრძალვა სხვა მიმდებარე რაიონებსაც შეეხოს.

ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ ბირთვული რეაქტორების გარსის დაზიანება გამოიწვია, რასაც გარემოში რადიოაქტიური ნარჩენებით დაბინძურებული წყლის ორთქლისა და წყლის გაჟონვა მოჰყვა.

ბირთვული ავარიის შედეგების ლიკვიდაციაზე პასუხისმგებელმა იაპონელმა მოხელეებმა განაცხადეს, რომ ამ რაიონიდან მსხვილფეხა პირუტყვის პროდუქციის გავრცელება აიკრძალება.

როგორც გაირკვა, პირუტყვის საკვებში რადიოაქტიური ცეზიუმის შემცველი ბრინჯის ჩალა მოხვდა. ჩალა ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შემდეგ შეაგროვეს.

სუპერმარკეტების ქსელის „აეონის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უკვე გაყიდეს რამდენიმე ასეული კილოგრამი საქონლის ხორცი ტოკიოსა და მის გარეუბნებში მდებარე 14 მაღაზიაში.

კომპანიამ განაცხადა, რომ ამიერიდან შეძენილი ხორცის რადიოაქტიურ ნივთიერებებზე შემოწმებას დაიწყებს.

მთავრობა აღიარებს, რომ რადიოაქტიური ნარჩენებით დაბინძურებული პროდუქცია შესაძლოა ფუკუსიმას პროვინციის ფარგლებს გარეთაც გავრცელდა.

თავდაპირველად დაბინძურებული ხორცის კვალმა ისინი ატომური ელექტროსადგურის მიმდებარე რაიონებისაკენ მიიყვანა, მაგრამ მოგვიანებით რადიოაქტიური ძროხის ხორცი ფუკუსიმადან 100 კმ-ის დაშორებით მდებარე მეურნეობებშიც აღმოაჩინეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის სფეროზე პასუხისმგებელი იაპონელი ჩინოსნები აცხადებენ, რომ ცეზიუმის შემცველი რამდენიმე ნაჭერი ძროხის ხორცი ჯანმრთელობისათვის მავნებელი არ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ რადიოაქტიური ნივთიერების შემცველობა ხორცში ნორმას რამდენჯერმე აღემატება.

ფუკუსიმას რაიონიდან ბოსტნეულის გატანა რამდენიმე კვირის წინ აიკრძალა.

გ.თ.

## შვიდკაცა ევროპაში მეექვსეა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

საქმე სათუოდ გაიხადა.

მერე ყველაფერი ისე განვითარდა, რომ ჯამში რუმინეთის ეტაპი პორტუგალიამ მოიგო და ინგლისს ერთი ქულით აჯობა. პორტუგალიელები ევროპის ჩემპიონები მერვედ გახდნენ.

საქართველომ კი V-VIII ადგილის ნახევარფინალში უელსი 26:5 დასცა, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში ინგლისთან ვერაფერს გახდა და 7:29 დამარცხდა.

ბუქარესტის ეტაპის თასის ნახევარფინალში, ესპანეთმა საფრანგეთი 19:12 დასცა, პორტუგალიამ კი, რუსეთს 19:7 აჯობა. მე-3 ადგილი საფრანგეთმა რუსეთის 7:0 ძლევით დაიკავა, ფინალში კი, პორტუგალიამ და ესპანეთმა ორ-ორი ლელო გაიტანეს, მაგრამ პორტუგალიელებმა ორივე გარდასახვა ზუსტად შეასრულეს, ესპანელებმა ვერცერთი გამოიყენეს და ტაბლოზე 14:10 დაფიქსირდა.

საბოლოო მდგომარეობა:

1.პორტუგალია 63 ქულა; 2.ინგლისი — 62; 3.ესპანეთი — 59; 4.რუსეთი — 52; 5.საფრანგეთი — 50; 6.საქართველო — 35; 7.იტალია — 34; 8.უელსი — 30; 9.უკრაინა — 20; 10.ჰოლანდია — 15; 11.რუმინეთი — 11; 12.მოლდოვა — 5.

მ. ჟ.

## სამგლოვიარო განცხადებები



### გრიშა ძაგანიას გამოსათხოვარი

**ძვირფასო მამა და ბაბუა!**

მიუხედავად იმისა, რომ რვა ათეულ წელზე მეტს მიითვლიდი, სრულიად მოულოდნელად გამოგვეცალე ხელიდან, თავზარი დაგვეცი არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ყველა ახლობელსა და ნაცნობს. ჯერაც ენერგიული, სიკეთის გამცემი და გულისხმიერი იყავი ყველას მიმართ. სიკვდილიც უჩვეულო გერგო — გარდაცვლილი ახლობლებისადმი გამოსათხოვარი სიტყვის თქმისას.

შენ ღირსეულად ასრულებდი სოფლის ერთ-ერთი თავკაცის მისიას. როგორც მათემატიკის მასწავლებელმა და შემდგომ, პარალელურად, სკოლის დირექტორმა, დიდი ჯაფა გასწიე ონოღიის რვაწლიანი სკოლის საშუალო სკოლად გარდაქმნის, ასევე, მისი ძველი და ავარიული შენობის ახლით შეცვლის საქმეში.

შენი, როგორც საგნის იშვიათი სპეციალისტისა და სამაგალითო პედაგოგის სახელი სცდებოდა რაიონის საზღვრებს, აზრს გეკითხებოდნენ, ანგარიშს გიწევდნენ და გამორჩეულად გცემდნენ პატივს ზემდგომ ინსტანციებში. უფრო მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ სამუდამოდ დაიდე ბინა ასეულობით ნამოწაფარისა და კოლეგის გულში, არა მხოლოდ როგორც საგნის სპეციალისტმა, არამედ მასთან ერთად ადამიანურობის მასწავლებელმა.

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში შესანიშნავი საჩუქარი დაგვიტოვე — როგორც აღნიშნავენ, მომხიბვლელი გულწრფელობითა და სისადავით აღწერილი ნანახი და განცდილი, რაც თან ახლდა შენი და შენი კოლეგების მრავალწლიან გარჯას და ეს დოკუმენტური მასალა, რომელიც ინტერესით იკითხება, მეუღლის, სოფლის მეურნეობის შესანიშნავი მუშაკის, აწ გარდაცვლილი ამაგდარი ქალბატონის — ლალი ღვინჯილიას ხსოვნას მიუძღვენი.

აუტანელია უშენობა.

ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ ვიცით, შენი ყოველი ნამოწაფარი, კოლეგა, ახლო თუ შორეული ნაცნობი ღრმა და წრფელი დანანებით მოისმენს შენი ამქვეყნიდან წასვლის ამბავს... ჩვენ კი ძალიან გვიჭირს, მაგრამ თავს ვიმაგრებთ.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ონოღიის მიწა.

***შვილები შალვა, გოჩა, დინარა, რ ლები მზექალა, ნაზი, შვილიშვილები ლალი, რატი, სოფო და გიგა აგანიები***

შვილები თამუნა და ზურაბ ბერიძეები, ძმა ჯემალ ბეჟიტაშვილი, შვილიშვილები გიორგი ბერიძე, გიორგი და ირაკლი შალამბერიძეები, რძალი ნინო რაჭველიშვილი, სიძე ალექსანდრე შალამბერიძე, მძახალი ლამარა კანდელაკი, მული ლიანა ბერიძე, ძმისშვილი ნინო ბეჟიტაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### ლეილა ბეჟიტაშვილი-ბერიძე

პანაშვიდი: 19, 20 ივლისს, 17 საათზე.
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 21 ივლისს, 15 საათზე.
მისამართი: პეტრიაშვილის 4.

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო" სამძიმარს უცხადებს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტს, მეუფე იობს ძმის

### გიორგი აქიაშვილის

გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

„სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭო სამძიმარს უცხადებს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტს, მეუფე იობს ძმის

### გიორგი აქიაშვილის

გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

### გრიშა ძაგანიას ხსოვნა

როდესაც პიროვნების სრულყოფილებაზე ჩამოვარდება სიტყვა, მეტწილად წინაპრებისკენ მიიქცევა ხოლმე ჩვენი მზერა, თქვენ კი აქვე იყავით, ჩვენი თანამედროვე.

ძვირფასო გრიშა მასწავლებელო, გვიმძიმს დავიჯეროთ, რომ ამქვეყნად აღარ ხართ, რომ დააობლეთ ჩვენი სოფელი, თუმცა რაღა სოფელი, თქვენ სრულიად საქართველოს მოუკვდით, მიუხედავად იმისა, გიცნობდათ თუ არა ყველა ქართველი, რადგან ჭეშმარიტი ერისკაცი ბრძანდებოდით, უამრავი მნიშვნელოვანი საქმის მონაწილე და მოთავეც.

განუმეორებელი იყო თქვენი გაკვეთილები. გამორჩეული ინტელექტუალობის გამო შეგეძლოთ ნებისმიერი სხვა საგანიც გესწავლებინათ. ეს ნათლად გამოჩნდა თქვენ მიერ დატოვებულ მემუარული ტიპის ჩანაწერებში — „შეხვედრა წარსულთან". კაცს რომ წამლად სდომებოდა, ერთ არაზუსტ ფრაზას ვერ მოიხელთებდა თქვენს მეტყველებაში, რადგან ნამდვილი ორატორი ბრძანდებოდით.

გაკვეთილზე იშვიათად იღიმებოდით, მაგრამ უზადო იყო თქვენი იუმორი.

თავიდანვე მოგდგამდათ შინაგანი სიბრძნე და სიდარბაისლე, თანდაყოლილი რომ არის და სწავლით არ შეიძინება.

უაღრესად ავტორიტეტული, გაწონასწორებული, სამართლიანი, გულისხმიერი, ჭკუის საკითხავი პიროვნება ისტორიულ ფრესკებზე აღბეჭდილ წინაპართა იერით, ბუნებრივი არისტოკრატიზმით — ასეთი ცოცხლობდით და იცოცხლებთ მუდამ თქვენი ნამოწაფრების ცნობიერებაში, გრიშა მასწავლებელო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული.

***შორენა, ცოქალა, ხათუნა ქაჯაიები, გიორგი აგანია***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 19 ივლისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. "**დოლმენი**" **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "მხეცების კვალდაკვალ" **19.45** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**დოლმენი**" **22.00, 02.25** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** მხ. ფილმი "**ლარა კროფტი- სამარხების მძარცველი, სიცოცხლის აკვანი**" (სუბტ.) **01.05** მოამბე **01.25** აუდიტორია **03.25** მხ. ფილმი "**მერი ბრაიანტის დაუჯერებელი მოგზაურობა**" (18)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "პირველი აპოკალიფსი" **20.00** მხ. ფილმი "**დრო, რომელიც გახსოვს**" **01.00** მხ. ფილმი "**უკანასკნელი სამურაი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ. "**ქალის მსხვერპლი**" **19.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.05** ან. ფილმი "ალადინი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **09.15** საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** პოკერ რინგი **02.45** მხ. ფილმი "**მზის ბნელი მხარე**" (ბ. პიტი) (სუბტ.) **04.45** მხ. ფილმი "**საბედისწერო ნიშნები**" (ნ. კეიჯი) (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** იმედის ფსონი (პირდ.) **16.10** სერ. "**ვნებათა მიწა**" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**დაცვის უფლება**" **12.50, 19.30** სერ. "**მეგობრები**" **15.00** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "მზეო თიბათვისა" **11.05** საქართველოს ისტორია **11.30** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**ხსოვნა**" **1**-ლი ს. **13.30** კონცერტი– ნ. მემანიშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**წარსულის აჩრდილები**" **17.25** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**ხსოვნა**" მე-**2**ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** მგზარვები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი **01.20** დოკ. ფილმი "პატრიარქის სტუმრობა" **01.45** მოკ. ფილმი "**კერპი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო — 2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 28-31, ღამით — 17-29

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 26-28, ღამით — 25-28

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 24-26, ღამით — 14-17

## ამინდის პროგნოზი 19 ივლისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 295-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## წერილი უეფადან: საფეხბურთო დავები არბიტრაჟის საქმეა

**საფეხბურთო საზოგადოებისათვის ცნობილია ს.კ. „ზესტაფონსა" და ფეხბურთელ გიორგი ქანტურიას შორის მიმდინარე დავის შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, საფეხბურთო არბიტრაჟმა ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე იმსჯელა და გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც კლუბი არ ეთანხმება.**



სწორედ ამის გამოა, რომ ეს თემა ვერა და ვერ დასრულდა. მეტიც, საქმეში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც ჩაითრია.

ამ საქმეზე დავა ფედერაციის ბოლო ყრილობაზეც გაგრძელდა, სადაც კლუბისა და ფედერაციის პრეზიდენტებმა, ილია კოკაიამ და ზვიად სიჭინავამ საკმაოდ საფუძვლიანად იკამათეს იმაზე, შეუძლია თუ არა ფედერაციის დაარსებულ საფეხბურთო არბიტრაჟს ამ და სხვა საფეხბურთო დავების განხილვა.

საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა" საფეხბურთო არბიტრაჟის გადაწყვეტილება სამოქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.

„ფეხბურთის ფედერაციამ სიტუაციაში გასარკვევად ფიფას იურიდიულ ორგანოებს მიმართა. ფიფასგან მიღებულ წერილში გარკვევით არის აღნიშნული, რომ კლუბს არ ჰქონდა უფლება საფეხბურთო დავის განსახილველად სამოქალაქო სასამართლოსთვის მიემართა.

ახლა სიტყვა ისევ „ზესტაფონზეა".

## ასტროპროგნოზი 19 ივლისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

**ვერძი** — მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. წვრილმანი საქმით დაკავდით. **კურო** — საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ტყუპები** — ერიდეთ შორეულ მგზავრობას. **კირჩხიბი** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ. **ლომი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **ქალწული** — გადით ქალაქგარეთ. იმუშავეთ ბაღში. **სასწორი** — სიყვარულში გიმართლებთ. გელით საჩუქარი. **ღრიანკალი** — იოლად ნურავის მიენდობით. **მშვილდოსანი** — მშვენიერი დღე გაქვთ წინ. **თხის რქა** — ეს დღე შინ გაატარეთ. **მერწყული** — უფროსობა კარგი თვალით გიყურებთ. **თევზები** — დაისვენეთ. საქმე მოიცდის.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 11 ივლისიდან

## იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 8

ვაჟა-ფშაველა

გაზეთი და წიგნი ერთად

8 ლარი





## იუმორი



***

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი, რომელსაც ძალიან ეშინოდა სიბნელის. ამიტომ, თვალებს რომ ახამხამებდა, გონებას კარგავდა...

***

ქალური ლოგიკა:

— დაიგვიანე და ბოდიშის მოხდას არც კი ფიქრობ.

— კარგი, ბოდიში, მაპატიე საყვარელო.

— აქედან მომწყდი შენი ბოდიშით...

***

— ალო, ცნობათა ბიუროა? ვერ მეტყვით, ქალების ვიაგრა რომელ აფთიაქში იყიდება?

— ნებისმიერ საიუველირო მაღაზიაში.

— ალო, ვანოს სთხოვეთ.

— სძინავს.

— თუ გაიღვიძა, უთხარით, რომ ნიკომ დარეკა.

— რას ნიშნავს „თუ გაიღვიძა?"

გ.თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ერთდროული გასროლა სანადირო თოფის ორივე ლულიდან. 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. მუზეუმი პარიზში; 4. საზღვაო მოგზაურობა; 6. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 9. საჭმელი სოკო; 13. ვრცელი, ბალახოვანი აუთვისებელი სივრცე; 14. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სოფელი საქართველოში; 15. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 17. დელაკრუას ცნობილი ფერწერული ტილო; 18. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 20. თხის, ხბოს ტყავისგან დამზადებული ღვინის, არყის ჩასასხმელი ჭურჭელი.

**თარაზულად:** 1. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის არსებული ისტორიული ქართული კუთხე; 5. თხრობითი ხასიათის პოეტური ქმნილება; 7. სამხედრო ტანსაცმელი, ფორმა; 8. ქართული ხის სახლის, ოდის აივანი; 10. ალალბედზე მოქმედება; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 16. პოეტ ნიკოლოზ რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 17. სქელი ქაღალდი; 19. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 21. მეფის სიგელი; 22. უხარისხო მატყლისგან მოთელილი ნაბადი; 23. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 24. დამატებითი ჯილდო პრემია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




ლურჯი წითელი ყვითელი შავი